ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N26

ქ.თბილისი 9 ივნისი, 2023 წელი

15$^{00}$საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
არჩილ გორდულაძე
მამუკა გუგეშაშვილი
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კოზერიძე
ნათია მოდებაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
ზურაბ ჩიკვილაძე
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
ოთარ გრიგოლია
ნინო ვარდოსანიძე
ზაზა თავაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე
გივი ჩხარტიშვილი
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ნინო ბაგაშვილი, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ იმ ფონზე, როდესაც რუსეთი უკრაინაში აგრძელებს სასტიკი ტერორისტული აქტების განხორციელებას და უმოწყალოდ უსწორდება უკრაინის მოსახლეობას, საქართველოს ხელისუფლება „ძალიან ჯიუტად და მტკიცედ" აგრძელებს პრორუსულ გზას - სამი კვირის წინ საქართველოში ჩამოსული იყვნენ სანქცირებული ლავროვის ოჯახის წევრები, რომლებიც „ძალიან ბედნიერად და უდარდელად" იხდიდნენ ქორწილს საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში. ბუნებრივია, რომ ამ კადრების შემყურე, ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე განეწყო ბრაზით და ამ ფაქტის გასაპროტესტებლად ჩავიდა ყვარელში, მათ შორის, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი ირაკლი ეძგვერაძე, რომელიც დააკავა პოლიციამ და ამ წუთებში, სხვა ჩვენი თანამოქალაქეების მსგავსად, ელოდება სასამართლო პროცესს, სადაც „მურუსიძის და ჩინჩალაძის სასამართლომ" უნდა გამოუტანოს განაჩენი და განსაზღვროს, რამდენად პატრიოტი იყო ის 20 მაისს. ირაკლი ეძგვერაძე და „ქართული ოცნების" ხელისუფლების მიერ დაკავებული ყველა ის მოქალაქე, ვინც, დღევანდელ დღეს, აპროტესტებს პრორუსულ პოლიტიკას საქართველოში, სამწუხაროდ, არის „ქართული ოცნების" მანკიერი სისტემის მსხვერპლი, რაშიც იგულისხმება ის, რომ ჩვენი მოქალაქეები იდევნებიან სამშობლოს სიყვარულისთვის და პატრიოტიზმისთვის, თუმცა, სამაგიეროდ, პოლიცია და ზოგადად, ხელისუფლება „კბილებით იცავს" ოკუპანტებს ჩვენივე მიწაზე, რათა მათ უდარდელად და კარგად გაატარონ დღეები. აქედან გამომდინარე, ანა გოგოლაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „უნდა შეგახსენოთ, რომ ლავროვი არის ის ადამიანი, რომელიც წლების განმავლობაში იყო ოკუპირებული ტერიტორიების - აფხაზეთის და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების მთავარი აგიტატორი და სწორედ ამ მიზნით დადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში, როგორებიცაა: სირია, ნიკარაგუა და ა.შ. და ეწეოდა აგიტაციას. ზუსტად მისი ოჯახის წევრები ცდილობდნენ აქ მოლხენას და დროის გატარებას და ჩვენი პოლიცია იცავდა მათ თავგამოდებით". სამწუხაროდ, ყოველდღიურ გადაწყვეტილებებში ვხედავთ, რომ ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი არის არა ქვეყანაზე შეყვარებული მოქალაქეები, რომლებსაც სამართლიანი პროტესტი აქვთ, არამედ ძალაუფლების შენარჩუნება, რისი ბოლო მაგალითია საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ განხორციელებული დევნა და დაკავებები, როდესაც ჩვენი თანამოქალაქეები, პრემიერმინისტრის სახელის ბანერზე დაწერის და ცარიელი ფურცლის ხელში დაჭერის გამო დააკავა პოლიციამ, რომელიც უნდა იცავდეს მოქალაქეების უფლებებს და კანონს და არა ასრულებდეს „კონკრეტული ჩინოვნიკების" დაკვეთას. საუბრის ბოლოს, ანა გოგოლაძემ განაცხადა: „სამწუხაროდ, ჩვენ მივექანებით რუსეთისკენ, ცენზურისკენ და მივექანებით ჯორჯ ორუელის მიერ აღწერილი სამყაროსკენ, სადაც სახელმწიფო აკონტროლებს აზრსაც და გამოხატვასაც და მინდა, დღეს, ძალიან დიდი სოლიდარობა და მადლობა დავუფიქსირო იმ ადამიანებს, ვინც სწორად აპროტესტებს ამ ქვეყანაში ღიად გამოხატულ სამთავრობო, პრორუსულ, პოლიტიკას".

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ საქართველო რუსეთს ჰგავს სოციალურ ქსელებში „ბოტების" გამოყენებითაც. რატომღაც „ყველას გამოგვრჩა და წავუყრუეთ", რომ ერთი თვის წინ, „მეტამ" გამოაქვეყნა სტატია, სადაც ამხილა ხელისუფლება, რომ ერთადერთი ქვეყანა ვართ და „ქართული ოცნება" ერთადერთი პარტიაა, რომელმაც საბიუჯეტო თანხა, 35000 ლარი, გამოიყენა იმისთვის, რომ სინქრონულად შექმნა „ბოტები, ფეიკები" და მათი საშუალებით ელანძღა ხალხი, ეწარმოებინა ანტიდასავლური კამპანია და მიმართა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებს: „ეს არის „ფეიკ ბოტები", რომლებიც თქვენ დაგიწყებენ ლანძღვას დღეს რომ პარტია დატოვოთ... ლანძღავენ პოლიტიკოსებს... ეხლაც, ამ ვიდეოშიც, ვიღაცები შემომივარდებიან, დამიწყებენ გინებას... პოლიტიკოსები ამას აიტანენ, საჯარო ფიგურებს ეს არ უკვირთ, „გირჩებს" მით უმეტეს... მაგრამ, ჩვეულებრივ ადამიანებს პასუხებში რომ შეუვარდებიან ხოლმე და დედას აგინებენ, იმ ადამიანებს შეიძლება ღამე არ სძინავთ, მათთვის

ეს ემოციურად მარტივი ამბავი არ არის. როდესაც ამას კადრულობთ, ზუსტად იცით, რომ ვიღაც „მანანა მანანა“, „უჩა უჩა“, „უცნობი უცნობი“, „საქართველო საქართველო“ გვერდებით ადამიანებს ცხოვრებას უსპობთ, ანადგურებთ, აგინებთ, ლანძღავთ და ეგ გგონიათ პოლიტიკის კეთება, ეგ არის ტრაგედია. ადამიანი გადადის ტყუილზე მაშინ მხოლოდ, როდესაც არის უმეცარი, როდესაც არ გააჩნია სიმართლე, არ გააჩნია იმის აზრი, რომ არგუმენტაცია ჩამოაყალიბოს. საკრებულოს წევრები გადააქციეთ „ბოტებად“ - დიტო სამხარაძე სინქრონირებულად ამ ხალხს მწყემსავს, შემოუშვებს, აპოსტინებს რაღაცებს, იმ მესიჯბოქსებს, რაც ვიღაც ერთის თავში იხარშება. ეს არის რუსული ხელწერა, უბრალოდ, რუსებს, თქვენგან განსხვავებით, იმის ჭკუა მაინც ჰყოფნით, რომ მაინც და მაინც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან არ აკეთოს ეს საქმეები და მაინც და მაინც სახელმწიფოში დასაქმებულ ხალხს არ აკეთებინოს და თქვენ ისიც ვერ მოახერხეთ, რომ „მეტას“ დამალვოდით. თვითონ ამბობთ, რომ გამოძიება რომ დაიწყოს, „მეტა“ მზად არის ითანამშრომლოს. ოფიაციალურად მატყუარები ხართ - ამას მე არ ვამბობ. ხოდა შეეშვით ხალხის გამწარებას. მაგრამ რას ვიზავთ, რადგან ეს ხელწერაა, ტყუილს მოუგებთ, აღმოაჩენთ, რომ ეგ „ბოტები“ ხმას ვერ მოგცემენ არჩევნებზე და რეალური მხარდაჭერა არ გაქვთ... მაქებარი ხალხი დაგრჩათ ესე - ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფეიკები და ღმერთმა მოგახმაროთ მშვიდობაში“.

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან ისევ გრძელდება უსაფუძვლო ბრალდებები იმ თემაზე, რაც კავშირშია რუსეთთან. ყველამ კარგად იცის და ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება, რომ ჩვენი მიდგომები და დამოკიდებულებები განსხვავებულია. ზოგადად, ამ ადამიანებს, ძალიან საინტერესო პერიოდი აქვთ ხელიდან გაშვებული - მათ შეეძლოთ ეწარმოებინათ ბევრად სხვა საშინაო და საგარეო პოლიტიკა, თუმცა, დღეს მათი დღის წესრიგი არის ის, რომ პოპულისტურ პოლიტიკურ განცხადებებში ჩაითრიონ ადამიანების გარკვეული ნაწილი და ვიღაცებზე მოახდინონ ზეგავლენა. მაგრამ ეს არაფერს ცვლის, რადგან ჩვენ გვაქვს მყარი და მკაფიო პოზიცია რუსეთთან მიმართებაში - მშვიდობისკენ მიმართული პოლიტიკა და საზოგადოებაც გვეთანხმება იმაში, რომ, ბოლო წლებში, ეს პოზიცია და პოლიტიკა არის ერთ-ერთი ყველაზე სწორი, რადგან დღეს, ჩვენი სახელმწიფო არ არის იმ დონეზე, რომ ჩაერთოს სამხედრო ინტერვენციებში და „გაუგებარ ბრძოლებში“ და ამით ზიანი მიაყენოს საკუთარ ქვეყანას და მოსახლეობას. ირაკლი ხელაძე გამოეხმაურა ლავროვის ოჯახის წევრების საქართველოში ვიზიტს და განაცხადა, რომ მთავრობის წევრების და „ქართული ოცნების“ პარტიის თავმჯდომარის მხრიდან, ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ როდესაც არ ირღვევა ოკუპაციის შესახებ კანონი, სახელმწიფოს არ აქვს უფლება რომელიმე პირი შეაყოვნოს ქვეყნის საზღვარზე და არ შემოუშვას სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ასევე, გამოეხმაურა ანა გოგოლაძის სიტყვებს, რომ თითქოს სახელმწიფო გარკვეულწილად კარნახობს გამოხატვის ფორმებს და მეთოდებს და მიმართა მას: „ალბათ კარგად გემახსოვრება, რომ ძალიან მძიმე პერიოდში მოგვიწია ცხოვრება - ოჯახის წევრები ერთმანეთს ვერ ელაპარაკებოდნენ, ადამიანებს ქუჩაში საკუთარი აზრის გამოხატვა და დაფიქსირება თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ და იმდენად შიშში და ტერორში უწევდათ ცხოვრება, რომ ამ მიმართულებით, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ უნდა აპელირებდეს, ამაზე ყურადღებას არ უნდა ამახვილებდეს. თუ ვინმემ მოიტანა ამ ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი გარემო - რომ ვისაც რაც უნდა იმას იძახის, ვისაც რაც უნდა, იმას აკეთებს, ჩვენ ვართ. მე არ მახსოვს არცერთ პერიოდში ესეთი ფორმით ჩატარებული საპროტესტო აქციები, თუმცა, ესეც ჩვენი მონაპოვარია და ჩვენ, გვინდა თუ არ გვინდა, ამ ყველაფერს ვეგუებით. ასე რომ, ძალიან ფრთხილები ვიყოთ ჩვენს განცხადებებში. „ქართული ოცნება“ ყოველთვის იქნება მშვიდობის გარანტი ამ ქვეყანაში. გასაგებია, რომ თუნდაც იმ თქვენი სატელიტი უცხოელი კოლეგების თუ გვერდში მდგომების დახმარებით ცდილობთ რამენაირად დაძაბოთ, არიოთ ამ ქვეყანაში სიტუაცია, თუმცა, ეს ყველაფერი არ გამოგდით, ვერც გამოგივათ და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ქვეყანა გააგრძელებს სტაბილურ, მშვიდობიან განვითარებას“.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა მისი აზრით „არასწორ და თავხედურ ბრალდებას“, რაც გამოიხატება იმაში, რომ თითქოს „ქართული ოცნება“ ატარებდეს რაიმე ტიპის პრორუსულ

პოლიტიკას. განაცხადა, რომ ეს არის აბსოლუტურად გაუგონარი და დაუსაბუთებელი ბრალდება იქიდან გამომდინარე, რომ „ქართული ოცნება“ არის ასზე მეტი რეზოლუციის მხარდამჭერი და თანაავტორი, რომელიც ეხება რუსეთის ფედერაციის აგრესიას უკარინაში და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „ძალიან გთხოვთ, თქვენი რიტორიკა შეინახეთ თქვენთვის და ისაუბრეთ თემებზე, რომლებიც ეხება მუნიციპალიტეტს და იმ ქალაქს, რომელსაც თქვენ ემსახურებით, ეს არ არის პარლამენტის ტრიბუნა, საიდანაც თქვენ მსოფლიო გლობალური პოლიტიკის დალაგებაზე უნდა ისაუბროთ... „ქართულ ოცნებას“ აღებული აქვს ძალიან კონკრეტული და მკაფიო გეზი - ეს არის ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნება და თუ ვინმესთვის ეს წარმოადგენს დისკომფორტს, ძალიან გთხოვთ, თქვენი სურვილები გადადეთ იმ დროისთვის, როდესაც თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, რომ აწარმოოთ უპასუხისმგებლო და არასერიოზული, არასწორი საგარეო პოლიტიკა, როდესაც ქვეყანას ჩაითრევთ ომში. ამ პირობებში, როდესაც ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, ეს არ მოხდება და ქვეყანაში იქნება მშვიდობა მანამ, სანამ იქნება ეს ხელისუფლება“. განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ჩვენი ოპოზიცია, შეუგნებლად, თავისი რიტორიკით და პოზიციონირებით, ხელს უწყობს ესკალაციას, დაძაბულობას და ომის პროვოცირებას და კიდევ ერთხელ მიმართა მათ: „ეს ტრიბუნა არის ტრიბუნა, რომელიც ქალაქის პრობლემებზე უნდა იყოს ორიენტირებული. ჩვენ ვართ ქალაქის მსახურები და ქალაქის პოლიტიკოსები, რომლებიც უნდა ზრუნავდნენ და საუბრობდნენ ქალაქზე“.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ოპოზიციონერ კოლეგებს აქვთ ინიციატივა, რომ შეიქმნას გენდერული თანასწორობის ალტერნატიული საბჭო, რაც, მისი თქმით, პირველ რიგში, ემსახურება იმას, რომ პარტია შემოიყვანონ ყველა თემაში, მათ შორის, გენდერული თანასწორობის საკითხებშიც გარიონ თავიანთი „ერთკაციანი პარტიები“. ეს ყოველივე აჩენს უნდობლობას იმ ადამიანებში, რომლებსაც რეალურად სჭირდებათ ჩვენი დახმარება და აზიანებს მათ უფლებებს. სამწუხაროდ, ალტერნატიული საბჭოდან ადამიანები ემიჯნებიან და არ აღიარებენ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებსაც შეუერთდა საქართველო, ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკას გენდერული თანასწორობის მიმართ, სახელმწიფოს პოლიტიკას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართ და ემიჯნებიან ყველაფერს, რაც ამ ქვეყანაში კეთდება ქალების გაძლიერებისთვის. რა თქმა უნდა, არსებობს პრობლემები, სამწუხაროდ, ქვეყანაში გვაქვს ფემიციდის შემთხვევები და, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ კიდევ უფრო მეტი ნაბიჯი უნდა გადადგას იმისთვის, რომ ფემიციდის შემთხვევები შემცირდეს და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება უფრო ხელშესახები იყოს, მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, საკრებულოს ქალი წევრების ერთად დგომა, რადგან ქალების პრობლემების მოგვარებას სჭირდება სინერგია და არა ალტერნატიული საბჭოები. აქედან გამომდინარე, თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა: „ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება, თუ ჩემი კოლეგები უკეთ გაეცნობიან, წაიკითხავენ, ნახავენ რა არის ზოგადად გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნის იდეა ადგილობრივ თვითმმართველობებში და რა უნდა ვაკეთოთ, რა უნდა იყოს ჩვენი ძირითადი მიზნები და არ შეიძლება, რომ ყველა ფორმით, ყველა თემაში შემოგვყავდეს პარტია, მით უფრო, რომ საბჭო იყო ის სივრცე, სადაც ჩვენ გვერდით უნდა გადაგვედო ჩვენი პოლიტიკური გემოვნება, ჩვენი შეხედულებები ერთმანეთის პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ და ერთ კონკრეტულ, ქალების თემებზე გვესაუბრა და გვემსჯელა“. თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ალტერნატიული გენდერული საბჭოს შექმნის ინიციატორები არიან, ამ ნაბიჯით, თავის „ერთკაციან, ორკაციან პარტიებს“ ვერ გაუზრდიან რეიტინგს, ვერც ქალებს დაეხმარებიან და მათი მუშაობა იქნება ყოველ საკრებულოს სხდომაზე გენდერული თანასწორობის საბჭოს კრიტიკა, რომელიც მათ არაფერს მისცემს. მისი თქმით, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ვაძლიერებდეთ, ყოველ ჯერზე ვხედავთ საკრებულოს ქალი წევრების დისკრედიტაციას, რასაც მიეცა შეუქცევადი და უწყვეტი ხასიათი და მიმართა ალტერნატიული გენდერული საბჭოს შექმნის მსურველებს: „ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას თქვენთან ერთად ან თქვენს გარეშე იმ გეგმის შესასრულებლად, რომელიც ჩვენ ერთად, 2025 წლის ჩათვლით დავსახეთ“. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის

საბჭომ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმარი ქალებისთვის დაიწყო სასწავლო-გამაჯანსაღებელი პროგრამა, რომელიც 20-ზე მეტ ქალს დაეხმარება ძალიან ბევრ რამეში და ამით მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდება საბჭოს ინიციატივით.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ ევროპარლამენტის წევრებმა, ბოლო დღეების განმავლობაში, გაავრცელეს ძალიან ბევრი კომენტარი საქართველოს მიმართულებით, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ერთ-ერთი ევროპარლამენტარის კომენტარი, რომელიც ამბობს, რომ „12 პუნქტთან შესაბამისობის პროცენტები საკმარისი არ არის, აქ მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური პოზიცია" და ისაუბრა ქვეყნის პოლიტიკური პოზიციის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებაზე, რომელსაც „ქართული ოცნების" პრორუსული ხელისუფლების მოქმედების „გვირგვინი" უწოდა - ეს არის თბილისის მერია, თავისი თვალსაჩინო მერით. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაზე პირველად აღმოაჩინა სამენოვანი (ქართული, ინგლისური და რუსული) წარწერა, იმ დღიდან დაიწყო მოკვლევა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული წარწერა და რომელი წლიდან იყო ის განთავსებული საკრებულოს შენობაზე. ამ მიზნით, მიმართა საკრებულოს აპარატს, რომელმაც წერილი მაშინვე გადაგზავნა თბილისის მერიაში, რომლის კომპეტენციაც არის ამ საჯარო ინფორმაციაზე პასუხის გაცემა. თუმცა, 14 სექტემბრის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მერიას პასუხის გასაცემად ჰქონდა 10 დღიანი ვადა, რომლის დარღვევაზეც რომ აღარაფერი ვთქვათ, წერილობითი პასუხი საერთოდ არ მიუღია, ხოლო ცხელ ხაზზე დარეკვისას, მიიღო პასუხი, რომ „თბილისის მერია არ გატყობინებთ, არ გაძლევთ ინფორმაციას ამ თემასთან დაკავშირებით და თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სამართალდამცავ უწყებებს". მისი თქმით, თბილისის მერიამ, არათუ მას, არამედ საკრებულოსაც არ გამოუგზავნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ წელს განთავსდა სამენოვანი აბრა საკრებულოს შენობაზე და რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული. აქედან გამომდინარე, უჩნდება კითხვა - არ აქვს მნიშვნელობა, რომელი ხელისუფლების დროს განთავსდა აღნიშნული წარწერა საკრებულოს შენობაზე და რა მიზანს ემსახურებოდა, მაგრამ, ახლა, როდესაც უკრაინაში რუსეთის აგრესიული ომის შემდეგ, საქართველო არის მომეტებული საფრთხის ქვეშ და ახლა, როდესაც ნათლად გვეუბნებიან, რომ საქართველო ხდება ევროკავშირის სანქციების გვერდის ავლის ადგილი, საქართველოში რუსეთის მოქალაქეები შემოდიან „გეომეტრიული პროგრესიით" და ჩვენ არ ვკმარობთ ტერიტორიულ ოკუპაციას და ამას ვუმატებთ შესაძლებლობას, რომ რუსეთმა განახორციელოს საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ოკუპაცია, არ ვიჩენთ პროტესტს ამ წარწერასთან დაკავშირებით. ეს არის სამარცხვინო და უღირსი საქციელი ხელისუფლების მხრიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზში მსხდომი საკრებულოს წევრები არ გამოხატავენ პროტესტს. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძემ განაცხადა, რომ ახლა გავა და ისე, რომ არ დააზიანოს ძეგლი, საღებავით გადახაზავს რუსულენოვან წარწერას და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს: „თქვენ თუ სურვილი გაქვთ და თვლით, რომ ის წარწერა იქ არ უნდა იყოს, გამომყევით".

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს შენობაზე აბრა განთავსებულია 2010 წლიდან, თუმცა, აქამდე არავის გამოუთქვამს პროტესტი, რადგან მაშინ ეს არავის სჭირდებოდა და დღეს ამ საკითხის დაყენება, არის ოპოზიციის პოლიტიკური დღის წესრიგი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში პრობლემაა არა რუსული წარწერები და რუსი ტურისტები, არამედ ხელისუფლება, რომელსაც ეს ქვეყანა მიჰყავს რუსული ორბიტისკენ, თორე, ნორმალური ხელისუფლების პირობებში, რუსი ტურისტიც შეიძლება ჩამოდიოდეს, რუსული წარწერაც იყოს და რუსული წარმოდგენაც შეიძლება იდგმებოდეს. საბა ბუაძემ ისაუბრა დღის წესრიგით წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხზე, რომელსაც „კახი კალაძის საჩუქარი ვანო ჩხარტიშვილისთვის" უწოდა და აღნიშნა, რომ გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე, იქ, სადაც არც გენ.გეგმის ფარგლებში, არც გენ.გეგმის პრინციპების დაცვით და არც არანაირი ლოგიკით არ უნდა ხორციელდებოდეს მშენებლობა, საკრებულო განიხილავს პროექტს, სადაც კალაძემ ჩხარტიშვილს აუსრულა სურვილი და აძლევს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვას. მისი თქმით, თუ დავაკვირდებით ამ

მშენებლობის ირგვლივ არსებულ ტერიტორიას, კარგად გამოჩნდება, როგორი არის კერძო და კორუფციული ინტერესი, როდესაც გრგ-ს და მშენებლობის უფლებას არ ვაძლევთ იქვე სხვა ტერიტორიას, ხოლო 483000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვანო ჩხარტიშვილს ვაძლევთ სამშენებლო განვითარების უფლებას. ცხადია, დაისმება კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება და რა იყო თბილისის მერის მოტივაცია მისი მიღების დროს. გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო სწორედ პოლიტიკური ინტერესით, რომ ივანიშვილის გარემოცვის მსხვილ ბიზნესმენს თბილისის მერმა არ უთხრა უარი იმაზე, რომ მან ააშენოს უზარმაზარი დასახლება და ჩვენი ქალაქის საზიანოდ ამოტუმბოს მრავალი მილიონი. თუმცა, სამწუხაროდ, არცერთი არგუმენტი არ აღმოჩნდა დამაჯერებელი, რომ საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას არ მიეღო დადებითი გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით და მისი თხოვნის და ბევრი არგუმენტის მიუხედავად, კომისიამ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. მისი თქმით, ზოგადად, რომ გადავხედოთ, როგორი არის მშენებლობის ნებართვების გაცემის პრაქტიკა, კარგად გამოჩნდება, სად არის კონკრეტული ადამიანების ინტერესი, სად იღებს გადაწყვეტილებას თბილისის მერია კორუფციული ინტერესით და სად არის ჩვეულებრივი მოქალაქეების ინტერესი, რომლებსაც დიდი ხანია, მათ შორის, ხსენებული ტერიტორიის ირგვლივ არსებული მიწის ნაკვეთების განვითარებაზე თბილისის მერია უარს ეუბნება. საბა ბუაძემ ასევე, ისაუბრა ზოგადად, გენ.გეგმის პრინციპების დაცვაზე და აღნიშნა, რომ საკრებულოს ყველა სხდომაზე შემოდის „კატასტროფული პროექტები", რომლითაც ხდება ამ ქალაქის იერსახის გამოუსწორებელი დამახინჯება და ჩვენი შვილები ამ ზიანს გამოცდიან საკუთარ თავზე იმით, რომ ამ ქალაქში ცხოვრება ნელ-ნელა ხდება შეუძლებელი, რადგან ჩხარტიშვილების, კვეტენაძეების, ფხაკაძეების, წულაიების, „არქის" და სხვათა და სხვათა ინტერესს თბილისის მერი არ ეუბნება უარს ერთადერთი მიზეზის გამო - ის პერსონალურად არის დაინტერესებული ამ პროექტების განვითარებით. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, მას კითხვა უჩნდება საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან და მიმართა მათ: „ჩვენი და თქვენი ინტერესი რა არის როდესაც ასეთ პროექტებს უჭერთ მხარს?"

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ყოველთვის ერიდება სახელების დასახელებას, თუმცა ამ შემთხვევაში, თუ საბა ბუაძე საუბრობს იმაზე, რომ კახა კალაძემ საჩუქარი გაუკეთა ვანო ჩხარტიშვილს, ზუსტად ანალოგიური ლოგიკით, საკრებულოს რამდენიმე სხდომის წინ, შეგვეძლო გვეთქვა, რომ კახა კალაძემ საჩუქარი გაუკეთა მამუკა ხაზარაძეს, მაგრამ ასე არ შევვიფასებია ის გადაწყვეტილება, რადგან ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს პიროვნებებს და იმას, თუ ვინ დგას ამა თუ იმ პროექტის უკან. წლების წინ, აბსოლუტურად გაუნაშენიანებელი იყო ლისის მიმდებარე ტერიტორიებიც, სადაც დღეს დგას უამრავი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის, მრავალსართულიანი კორპუსები და კერძო სახლები. მისი თქმით, მამუკა ხაზარაძის დაწყებული პროექტი „ლისი ვერანდა" არის კარგი პროექტი და ფიქრობს, რომ ამ ტერიტორიის განაშენიანება, ურბანული თვალსაზრისით, კარგად მიმდინარეობს. რევაზ სოხაძე გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას, თითქოს შინდისის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის განვითარებაზე უარი ეთქვა უამრავ მოქალაქეს და განაცხადა, რომ აღნიშნული არის ტყუილი, რადგან შინდისის ტერიტორიაზე უამრავი განაშენიანების რეგულირების გეგმაა, სადაც ასობით ჩვენს თანამოქალქეს აქვს მიწის ნაკვეთის განვითარების საშუალება, თუმცა, რა თქმა უნდა, არის ისეთი ტერიტორიებიც, რომლების განვითარება დღესაც შეზღუდულია, იქიდან გამომდინარე, თუ რა ზონა ედო მას, რაც სწორი მიდგომაა. რევაზ სოხაძე ასევე, გამოეხმაურა განცხადებას, თითქოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე წარდგენილი იყო უამრავი არგუმენტი, რომელიც უნდა გაეთვალისწინებინა კომისიას გადაწყვეტილების მიღებისას და განაცხადა, რომ საბა ბუაძეს არ წარმოუდგენია არცერთი არგუმენტი, გარდა იმისა, რომ „ეს არის ვანო ჩხარტიშვილის გრგ და ამიტომ არ უნდა დამტკიცდეს". განაცხადა, რომ ისევე, როგორც მისი კოლეგები, პასუხისმგებელია ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც იღებს საკრებულო, მათ შორის, არასდროს მორიდებია მცდარ გადაწყვეტილებაზე დაეფიქსირებინა, რომ ის იყო

მცდარი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი პროექტის მხარდაჭერა, იმ შენიშვნების გათვალიწინებით, რომლებიც გრგ-ს დავალებაში იქნება მიღებული, არის სწორი გადაწყვეტილება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ სავარაუდოდ უახლოეს მომავალში, საკრებულოში შემოვა „ლაგუნა ვერეს" პროექტი, რომელიც, მისი აზრით, არის კარგი პროექტი, თუმცა, ყველა პროექტი შეიძლება იყოს სადაო, რადგან არსებობს განსხვავებული აზრი და, რა თქმა უნდა, პროექტზე კამათი მისაღებია, მაგრამ მიუღებელია კორუფციაზე და საჩუქარზე საუბარი.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ თუ ხსენებული გრგ-ს მიმართ ვიმსჯელებთ საბა ბუაძის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიტერიუმებით ლისის მიმდებარე ტერიტორია გაცილებით უფრო მძიმე არეალია, ვიდრე შინდისი.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ უკვე მესამე თვაა, რაც, წესით, უნდა შექმნილიყო ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლების სკვერის და მემორიალის გახსნის საკითხზე და კითხვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „რაიმე წინსვლა ხომ არ გვაქვს ამასთან დაკავშირებით?" გიორგი ონიანი გამოეხმაურა ირაკლი ხელაძის სიტყვებს, რომ თურმე სახელმწიფოს არ აქვს არანაირი უფლება, რომ თუ ადამიანს დარღვეული არ აქვს ოკუპაციის კანონი, ის შეაჩეროს საქართველოს საზღვარზე და მიმართა მას: „იქნებ თქვენმა კოლეგებმა, რომელიმემ განმარტოთ ვიქტორ შენდეროვიჩს რა კანონი ჰქონდა დარღვეული? აფხაზეთში იყო ნამყოფი? სადმე სხვაგან იყო ნამყოფი, სადაც ეს კანონი მოქმედებს? რა თქმა უნდა, არა. ამ ადამიანს შეექმნა პრობლემები ერთადერთი რამის გამო, რომ ეს ადამიანი დაპირისპირებულია პუტინთან და ეს იცის მთელმა მსოფლიომ. სამწუხაროდ, იმავე კვირაში, არ შეექმნათ პრობლემა ე.წ. „კადიროველებს" და ძალიან გთხოვთ, არ დამიწყოთ იმის მტკიცება, რომ თურმე, ძალიან ნაწყენია კადიროვი მის ყოფილ მერზე - ეს ბატონმა დავითულიანმაც არ მიიღო, თქვენი გუნდის წევრმა". გიორგი ონიანის თქმით, ძალიან სამწუხაროა ევროსაბჭოს წარმომადგენლების პოზიცია, რომელიც მათ დააფიქსირეს საქართველოს პრემიერმინისტრის გამოსვლებთან და ინტერვიუებთან დაკავშირებით და სასიხარულო არ არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც უახლოეს მომავალში ამ ორგანოებმა უნდა მიიღონ ჩვენი ქვეყნის მიმართ, არც მარტო პრემიერმინისტრს ეკუთვნის და არც მარტო „ქართულ ოცნებას", ის საქართველოს თითოეული მოქალაქის მომავლის განმსაზღვრელია და ნამდვილად არ სურს, რომ „თუნდაც ცუდი პრემიერის ცუდი გამოსვლის გამო, პრობლემა შეექმნას ევროინტეგრაციას". აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ძალიან გთხოვთ, მარტო თქვენს თავზე ნუ იფიქრებთ, იფიქრეთ ქვეყანაზე... ქართველმა კაცმა რომ იცის მშვიდობის ფასი, ისე არავინ იცის... მშვიდობა 1990 წლამდეც გვქონდა, მაგრამ ეს არ იყო მშვიდობა, რომელიც ქართველ ადამიანს უყვარს, მაშინ 9 აპრილს არ იდგებოდა იქ ათიათასობით ადამიანი და რუსის ჯარს წინ არ დაუდგებოდა შიშველი ხელებით, ალბათ კარგად ხვდებით. ამიტომ, მხოლოდ მშვიდობაზე აპელირება, ნამდვილად არაფრის მომტანია. ამ მშვიდობას უნდა ახლდეს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა... იმ შემთხვევაში კი, როდესაც ყველა ნაბიჯი, თუნდაც საკუთარი გმირის დაფასებაც კი, არ გამოგდის და არ გინდა იმიტომ, რომ არ გააღიზიანო პუტინის რუსეთი, ეს ყველანაირ ზღვარს სცდება." საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ტურისტის ჩამოსვლა და ის, რაც ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლოა და საფრთხეს არ უქმნის ჩვენს უსაფრთხოებას, პრობლემა არ არის, თუმცა, ყველანაირ ზღვარს გასცდა, როგორც ტურისტების შემოდინება, ასევე, მათი „მომყოლი ადამიანების" და ფიქრობდა, რომ ლავროვის და მისი ოჯახის წევრების შემოსვლას საქართველოში „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ოკუპაციის შესახებ კანონით კი არ გაამართლებდნენ, არამედ მათი პოზიცია იქნებოდა: „შემოვიდა, არ ვიცოდით და ვგმობთ".

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრობლემა არის ორმაგი სტანდარტი, რაშიც იგულისხმება, მათ შორის ის, რომ მათ არ გამოუთქვამთ პროტესტი მაშინ, როდესაც 2-3 წლის წინ, მათი პარტიის ერთ-ერთმა შემომწირველმა, რუსთავის ავტოდრომის მეპატრონემ „ახმატის თასი" ჩაატარა, ხოლო თვითონ, ჩეჩნეთში, „პუტინის თასზე" მიიღო

მონაწილეობა და გარდა ამისა, მანვე, საქართველოს ერთ-ერთი სპორტული ორგანიზაცია გამოიყვანა საერთაშორისო ევროპული ზონიდან და შეიყვანა დსთ-ს ზონაში. აქვე, ისიც განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებისთვის უფრო მომგებიანი იქნება, თუკი რაიმეს თქმის დროს გაიხსენებენ მათი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს და მიმართა მათ: „მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს, იფიქრეთ თქვენი პარტიის მომავალზე და იქნებ დაგიჯეროთ ხალხმა თუკი სიმართლეს ილაპარაკებთ, იმიტომ, რომ ესე, ხომ ხედავთ, არაფერი არ გამოდის".

გიორგი შარაშიძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ გადაწყვიტა, გააუქმოს რუსულ, სანქცირებულ, კომპანია „მეტროვაგონმაშთან" გაფორმებული ხელშეკრულება, რაც მისი აზრით, არის დაგვიანებული, მაგრამ მისასალმებელი გადაწყვეტილება, რომელსაც მხარს უჭერს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი იქნებოდა, ამ კომპაიასთან თავიდანვე არ გაფორმებულიყო ხელშეკრულება თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის ჩვენი ევროპელი პარტნიორის, იბიარდის ფული. მართალია თბილისის მერიამ თავი გაიმართლა იმით, რომ სატენდერო პირობებში არ შეიძლება ჩაიდოს კომპანიის წარმოშობის ქვეყანა, მაგრამ მას შეუძლია დაასახელოს მინიმუმ ორი ტენდერი, კერძოდ, 18 მეტრიანი ავტობუსების და ნაგვის ურნების შესყიდვასთან დაკავშირებული ტენდერები, სადაც ისეთი პირობაა ჩადებული, რომელიც თავიდანვე გამორიცხავს რუსული კომპანიის არა თუ გამარჯვებას, არამედ, მონაწილეობასაც კი. მისი თქმით, გარდა იმისა, რომ ეს დამატებით წარმოშობს კორუფციულ რისკებთან დაკავშირებულ კითხვებს, რადგან ფაქტია, რომ თუ მერიას სურს, ის სატენდერო პირობებში დებს გარკვეულ შეზღუდვებს, ხოლო თუ არ სურს, თავს არიდებს ასეთ შეზღუდვებს, არის კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი - ჩვენ ვხედავთ, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება, თავიდან ავიცილოთ რუსულ, სანქცირებულ კომპანიებთან თანამშრომლობა. გიორგი შარაშიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „მეტროვაგონმაშთან" ხელშეკრულების გაუქმება მისასალმებელი გადაწყვეტილებაა, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არსებობს მიმდინარე ხელშეკრულება ანალოგიურად რუსულ, სანქცირებულ კომპანიასთან „კამაზი", რომელთან დაკავშირებითაც ჯერ-ჯერობით უცნობია, რას აპირებს თბილისის მერია. აღნიშნა, რომ „კამაზი" არის არა მხოლოდ უკრაინის და ევროკავშირის მიერ, არამედ ძალიან ბევრი ქვეყნის, ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს მიერ დასანქცირებული კომპანია, თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისის მერია მაინც აფორმებს მასთან ხელშეკრულებას და განაცხადა, რომ მართლა ძალიან გაუგებარია, როდესაც „მეტოვაგონმაშთან" მოხდა ხელშეკრულების გაუქმება, რატომ არ გაუქმდა ანალოგიური ტიპის ხელშეკრულება ასევე სანქცირებულ, რუსულ კომპანია „კამაზთან", რომელიც რუსეთის სამხედრო შეიარაღებას აწვდის სამხედრო ნაწილებს, რომლებიც გამოიყენება ჩვენს მეგობარ უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. გიორგი შარაშიძე გამოეხმაურა კახა კალაძის მიერ მედიასთან დასმულ რიტორიკულ კითხვას, რომ „თითქოს როდის გაუკეთებია ანტიდასავლური განცხადებები" და მიმართა მას: „მიუხედავად იმისა, რომ ასეთი განცხადებები არა ერთი და ორი არსებობს, რაც ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, ამ შემთხვევაში განცხადებაზე ბევრად მნიშვნელოვანი და დამაზიანებელი ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებისთვის არის მისი ქმედება, როდესაც არაფერი გააკეთა და ჯერ-ჯერობით, როგორც ვხედავთ, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეწყვიტოს და გაემიჯნოს რუსულ კომპანია „კამაზთან" თანამშრომლობას". მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი რიგითი საკითხი, არამედ, პირიქით, იმდენად მნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხია, რომ აუცილებელია კახა კალაძისგან მოვისმინოთ ახსნა, თუ რა მიზეზით მოხდა რეალურად მთელი მსოფლიოს მიერ დასანქცირებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება.

ნინო კვიტაიშვილი გამოეხმაურა ირაკლი ხელაძის განცხადებას და მიმართა მას: „ფაქტობრივად გვითხარი, რომ „თავისუფლად სუნთქვის რეჟიმში ხართ", მაგრამ, მინდა ჩვენსკენ გამოიხედოთ... აქ უნდა იჯდეს ირაკლი ემგვერაძე, რომელსაც დღეს სასამართლო ჰქონდა და „ლავროვების" გამო დააკავეს, ალბათ იცით... ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური არხის მენეჯერი, ნიკა გვარამია, პატიმრობაშია... ქუჩაში ხშირად არიან ახალგაზრდები,

რომლებიც მუდმივად აპროტესტებენ და ითხოვენ თავისუფლებას". ნინო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ „ოდესღაც" იყო ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორი და განაცხადა, რომ წარმოუდგენია, თუ როგორ დაიწერება მომავალში სახელმძღვანელო, სადაც ერთი თავი აუცილებლად იქნება დაახლოებით ასეთი სათაურით: „მონა ლიზადან თეთრი ფურცლების დაკავებამდე", სადაც იგულისხმება „მონა ლიზას" დამახების გამო ადამიანის დაკავება, ხოლო თეთრი ფურცლები რასაც ნიშნავს, ყველამ კარგად იცის. ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ ისტორიის სახელმძღვანელოში აუცილებლად იქნება ასეთი ქვეთავი, რომელსაც თავისი ხელით დაწერს, როცა ამის დრო მოვა და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „ბოდიშს გიხდით, ნიკოლოზ I-ს რომ დახვდა მაშინდელი „სანაქებო თავადაზნაურობა", ისე არ დავხვდით ლავროვების ოჯახს. დიდ ბოდიშს გიხდით, რომ იგივე პატივით არ მივიღეთ და მადათოვის კუნძულზე არ გავუშალეთ სუფრა".

ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა ანა გოგოლაძის მიერ ჯორჯ ორუელის ხსენებას და განაცხადა, რომ როდესაც ადამიანი „ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხს" კითხულობს, რატომღაც ყველას ახსენდება 2012 წლამდე საქართველო და არა შემდგომი საქართველო, ხოლო იმაზე საუბარი, თუ ვის რა ახსენდება „ვაცის ნადიმის" წაკითხვისას, არ ღირს და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებს: „ცხოველების ფერმას რომ დაამსგავსეთ ეს ქვეყანა, 1984 წელს რომ დაამსგავსეთ 2012 წლამდე საქართველო, ყველას კარგად გვახსოვს". მისი თქმით, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები საუბრობენ გამოხატვის თავისუფლებაზე, უნდა გაიხსენონ რისთვის დაარბიეს 7 ნოემბერს ტელევიზია „იმედი" და საქართველოს მოქალაქეები, ასევე, 26 მაისს რატომ დაარბიეს და დაასისხლიანეს ხალხი. ვლადიმერ ბოჟაძე ასევე, გამოეხმაურა ლავროვის და მისი ოჯახის წევრების საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და კიდევ ერთხელ მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებს: „დიახ, ლავროვი იყო ის ადამიანი, რომელსაც თქვენი ბელადის პირველ ინაუგურაციაზე, პირველ სკამზე საპატიო ადგილი ეკავა და ვისთან ერთად ხელჩაკიდებული, „მუხლებზე მოსაფერებლად" ეახლა სააკაშვილი პუტინს მას მერე, რაც იგორ ივანოვმა ხელისუფლებაში მოგიყვანათ. დიახ, ლავროვის საყვარელი მოსწავლე იყო და სტუდენტი ელენე ხოშტარია, რომელიც დღესაც მილიონობით რუბლს იღებს რუსეთის ფედერაციიდან და დიახ, დღესაც, თქვენი ბელადის გადაწყვეტილებით, ლავროვის და სხვა ნებისმიერის ოჯახის წევრს რუსეთის მოქალაქეს შეუძლია უვიზოდ საქართველოში შემოვიდეს. ოღონდ, საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ რომ ევროკავშირში დადიან, ეს „ქართული ოცნების" დამსახურებაა". ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა საკრებულოს შენობაზე რუსულენოვან წარწერასთან დაკავშირებით გამოთქმულ პროტესტს და მიმართა ნინო წულაძეს: „2010 წელს, ამ შენობის გარდა, კიდევ 89 შენობაზე გამოიკრა აღნიშნული აბრები. კიდევ 13 წელი რომ არ დაელოდოთ სადმე საღებავის მისხმას, აპარატს ვთხოვ, მისამართებს მალე მოგაწვდიან, ჩამოიარეთ და შეასხით საღებავები რუსულ წარწერებს - იმ წარწერებს, რომელიც „ამ ქალაქის ბიუჯეტის ქურდმა" უგულავამ გამოაკრა თავის დროზე". საუბრის ბოლოს, ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა რუსეთთან ურთიერთობაზე და განაცხადა, რომ ევროპარლამენტარი კალიურანდის და წითლიძის გუშინდელმა განცხადებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთავარი ამოცანა არის, ამ ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, რისთვისაც ყველაფერს აკეთებენ და კიდევ ერთხელ მიმართა მათ: „2008 წელს, ერთხელ მაინც რატომ არ „დაასველეთ სიტყვა", რომ ვინმეს სანქციები დაეწესებინა რუსეთისთვის იმის გამო, რა უბედურებაც ამ ქვეყანაში მოახერხა? თქვენ თვითონ რატომ დაუწესეთ ორმხრივი სანქციები? თუ მაშინ სხვა გეოპოლიტიკური მდგომარეობა იყო და დასავლეთი გეუბნებოდათ: „არა, არ ქნათო"? დასავლეთმა გითხრათ „ვეტოში" ხმა მიეცითო? კადიროველებზე ეხლა რომ ლაპარაკობს ბევრს ონიანი, კადიროველებს თქვენ არ მოუხსენით, 2010 წელს, სავიზო რეჟიმი? და მერე, 2012 წელს, რუსეთის ყველა მოქალაქეს? თუ რამე მეშლება? თუ თარიღი ამერია? თუ არ მახსოვს, პრეზიდენტი ვინ იყო? თუ როგორ არის თქვენი საქმე?.. ასე, რომ, ვითომ ცარიელი ფურცლები რომ გილაგიათ წინ, შუაში ხაზი ჩამოუსვით და დაწერეთ, რა გადაეცით „ნაციონალურმა

მოძრაობამ“ რუსეთს 2012 წლამდე, ომის მერე, როდესაც ხელისუფლებაში იყავით და რა გადასცა რუსეთს „ქართულმა ოცნებამ“.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ტერმინი „ურბიციდი“ ნიშნავს ქალაქის მკვლელობას და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „რატომ ვკლავთ ამ ქალაქს?“ მისი თქმით, თბილისი არ არის მაღალი შენობების ქალაქი, ეს არ არის მისთვის დამახასიათებელი და მას სჭირდება თავისი ორიგინალურობის შენარჩუნება. ქალაქის ცენტრში, იქ, სადაც არის ერთ-ერთი ყველაზე რთული სატრანსპორტო კვანძი და არ შეიძლება მაღალი შენობების აშენება, ვაპირებთ „ჟირაფების“ აშენებას. რატომ უნდა აშენდეს იქ ორი ორმოცდაათსართულიანი შენობა? არ შეიძლება იმიტომ, რომ არაფერში არ ეტევა და იქაც ავაშენებთ ისეთივე საშინელებას, როგორიც წინა ხელისუფლებამ ააშენა „ბილტმორი“, რომელსაც ხალხი „გოძილას“ ეძახის. რატომ ვაკეთებთ ამას? მისი თქმით, ვაკე, ვერა, მთაწმინდა, აღმაშენებელი ის უბნებია, რომლებიც არ არის მაღალი შენობების უბნები და თავი უნდა დავანებოთ „ამ გაუგებრობის კეთებას“. აღნიშნა, რომ ამ მოცულობის შენობები ქალაქისთვის სტრატეგიული ობიექტებია და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, დაუძახოთ სპეციალისტებს და ამ დარბაზში, ყველამ ერთად მოვუსმინოთ ყველა მხარეს, რამდენად მიზანშეწონილია გმირთა მოედანზე ორი ამხელა შენობის აშენება. მშენებლობა რომ დაიწყება, სამშენებლო მასალას და ტექნიკას ვერტმფრენით მიიტანთ?“ საუბრის ბოლოს, ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ამა თუ იმ გამზირის ან ქუჩის რეაბილიტაციით გამოწვეული დისკომფორტი უნდა მოვითმინოთ, რადგან კარგი საქმე კეთდება, მაგრამ როდესაც „ვიღაცამ უნდა დააუშნოვოს ჩემი ქალაქი, ესეც უნდა მოვითმინო და გაგებით მოვეკიდო?.. ნუ გავაკეთებთ ამას.“

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „რადგან ასე დაბრმავდით, დაყრუვდით და ანგარიშვალდებულება გაქვთ მოშლილი, მოგმართავთ არა როგორც პარტიის წევრი ან პოლიტიკოსი, როგორც საქართველოს ჩვეულებრივი მოქალაქე - რა არის ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების ეროვნული ინტერესი დღეს? ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის 80%-ის, ეროვნული ინტერესი არის თავისუფალ სამყაროსთან ინტეგრაცია, ევროკავშირის სტატუსი, ევროკავშირის წევრობა, მათ შორის, ნატოს წევრობა და ა.შ., რაც მართლა გადარჩენის საშუალებაა ჩვენთვის. თქვენ როგორ აყენებთ საკითხს? მშვიდობა თუ ევროპა? მშვიდობა თუ ნატო? ერთადერთი ხელისუფლება ხართ, რა თქმა უნდა, რუსეთის შემდეგ, ვინც ამის გამო იჭერთ ხალხს. ერთადერთი ხელისუფლება ხართ, რომელიც ჰიბრიდულ ომს აწარმოებთ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ... ინტერპრეტაციასაც არ უკეთებთ, პირდაპირ, ერთი ერთში გადმოგაქვთ რუსული მეთოდები, როგორ იმუშაოთ თქვენი ხალხის წინააღმდეგ და დააყენოთ ალტერნატივა „ევროპა უდრის ომს“... და პირიქით, ჩვენი ინტერესია ნატო, ევროკავშირი და ევროკავშირის სტატუსი იმისთვის, რომ ჩვენთან იყოს მშვიდობა და უსაფრთხოება პირველ რიგში და შესაბამისად, მშვიდობას და უსაფრთხოებას მოჰყვება განვითარება და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, რაც არის დღეს საქართველოში“. ლილე ლიპარტელიანი გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის გამოსვლას და მიმართა მას: „ევროკავშირის სტატუსის მოსაპოვებლად, 12 პუნქტიან გეგმაში, მე-9, ყველაზე უწყინარი პუნქტი არის გენდერული საკითხების მოგვარება და ამ საკითხშიც კი პრობლემები შექმენით და ალტერნატიულ გენდერულ საბჭოზე მინიშნებების გაკეთებას, აჯობებს იმაზე იმუშაოთ და ვიმუშაოთ, რაც მართლა რეალურად პრობლემაა დღეს საქართველოში გენდერული მიმართულებით“. ლილე ლიპარტელიანმა, ასევე, მიმართა ოთარ გრიგოლიას: „ერთი სხდომა მაინც გამახსენე, თბილისის საკითხებზე რომ გესაუბროს, ჩვენ რომ მოგვიწოდებ. შესაბამისად, თქვენ დეპოლარიზაციას იმიტომ მოგიწოდებთ ევროკავშირი, რომ სივრცე დარჩეს. არ ტოვებთ სივრცეს, რომ ვილაპარაკოთ ხალხის პრობლემებზე, თბილისის პრობლემებზე და ა.შ. დეპოლარიზაცია და, მათ შორის, პოლიტპატიმარი მიხეილ სააკაშვილის და ნიკა გვარამიას გათავისუფლება მოიტანს იმას, რომ ძალიან ბევრი ვისაუბროთ ჩვენი მოსახლეობის საკითხებზე. ეს არ გინდათ თქვენ ზუსტად“. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა საბა ბუაძის მიერ ხსენებულ საკითხს და განაცხადა, რომ კვეტენაძეების და ჩხარტიშვილის საკითხთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმდინარე სხდომის დღის

წესრიგით განსახილველად წარმოდგენილი ერთ-ერთი საკითხი წარმოადგენს კალაძის ცოლის ძმის და ცოლის დაქალების ინტერესს და წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იქ, სადაც სპროტული კომპლექსი უნდა აშენებულიყო, დაემატა საცხოვრებელი ფუნქცია და იქ, სადაც კამპუსი უნდა ყოფილიყო, დღეს ყველანაირი ვადებულება უნდა მოიხსნას, რასაც საკრებულოს უმრავლესობა მხარს დაუჭერს და არაფრის მომცემია იმის მტკიცება, რომ თითქოს არ იციან ვინ დგას ამა თუ იმ საკითხის უკან, რადგან თითოეული ასეთი საკითხის უკან დგას ან „ქართული ოცნების" შემომწირველი, ან „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნის ახლობელი.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ აბსოლუტურად მიუღებელია დღეს ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებები, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსული ინტერესების გამტარებელია, რადგან ამით ისინი არა მარტო საკრებულოს უმრავლესობის წევრებს აყენებენ შეურაცხყოფას, არამედ, ასევე, იმ ადამიანებსაც, რომლებიც მხარს უჭერენ დღეს ხელისუფლებას და თუ მათ სურთ, რომ ჩვენს ქვეყანაში დასრულდეს პოლარიზაცია, პირველ რიგში, თავი უნდა დაანებონ ასეთ რიტორიკას. გამოეხმაურა განცხადებას, რომ თითქოს ხელისუფლება ქვეყანას მიაქანებს იქით, რომ გაკონტროლდეს ყველა აზრი და რიტორიკული კითხვით მიმართა კოლეგებს: „რომელი ტელევიზიის და მასმედიის საშუალებით აპირებს ამას? „მთავარი არხის" საშუალებით აკეთებს ხელისუფლება ამას, „ტვ პირველის", „ფორმულასი" თუ ნებისმიერი სხვა პლურალისტური მედიის საშუალებით, რომელიც ამ ხელისუფლებამ მოუტანა ქვეყანას?" ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ასეთი საუბრები დამაზიანებელია ქვეყნისთვის და არც ოპოზიციის წარმომადგენლების არაფრის მომცემი ეპატაჟი მოიტანს კონსტრუქციულობას, პირიქით, უფრო მეტად გაღრმავდება დაპირისპირება საზოგადოებას შორის, რადგან ამის მაგალითს აძლევს ოპოზიცია და მიმართა მათ: „სეგრეგაციას, ძალიან მდაბიო და იაფფასიან განცახდებებს თავი დაანებეთ, იმიტომ, რომ თქვენ თვითონ აზიანებთ ამ ქვეყნის ინტერესებს."

სალომე კობალაძე გამოეხმაურა ბოლო დღეებში მომხდარ ფემიციდის შემთხვევას და განაცხადა, რომ ასეთი სასტიკი შემთხვევების მომრავლება მიგვითითებს იმაზე, რომ ძალიან არაეფექტური რეაგირება გვაქვს სახელმწიფოს მხრიდან და ფიქრობს, რომ აუცილებელია, დღის წესრიგში პრიორიტეტად დაბრუნდეს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. სალომე კობალაძე, ასევე, გამოეხმაურა ოპოზიციური პარტიების მიერ ალტერნატიული გენდერული საბჭოს შექმნის იდეას, რამაც მმართველ გუნდში გარკვეული შეშფოთება გამოიწვია და აღნიშნა, რომ მსგავსი ინსტიტუცია არსებობს პარლამენტში და ეს სულაც არ აკნინებს არსებული გენდერული საბჭოს ქმედითუნარიანობას, პირიქით და მეტიც, ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ უფრო დეტალურად ჩავწვდეთ პრობლემის არსს, შევძლოთ უფრო ღრმად დავინახოთ, სად არის პრობლემა და მივიღოთ უფრო აქტიური ქმედება მის აღმოსაფხვრელად. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ რჩება არსებული გენდერული საბჭოს შემადგენლობაში და მიესალმება საბჭოს აქტივობას, თუმცა, ფიქრობს, რომ ალტერნატიული საბჭო არის დამატებითი ინსტრუმენტი იმისთვის, რომ უფრო ღრმად და ახლოს ჩავწვდეთ არსებულ პრობლემებს და ისინი ურთიერთგამომრიცხავი ვერაფრით იქნება, პირიქით, ერთმანეთს გააძლიერებს და სადაც დაინახავს თავისი ჩართულობის აუცილებლობას, იქ მიიღებს მონაწილეობას.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ არსებულ გენდერულ საბჭოში დარჩენა-არდარჩენა არის ინდივიდუალურად თითოეული დეპუტატის გადასაწყვეტი და განაცხადა, რომ თავად ემიჯნება „ფსევდო მოქმედებებს და ფსევდო პოლიტიკურ პროცესებს", რომელიც გენდერულმა საბჭომ პარტიული ნარატივით შემოიტანა მაშინ, როდესაც შალვა რამიშვილზე ხმამაღლა არ თქვა, რომ ის იყო მოძალადე და „პარტიული ფარით" ცდილობდა მის დაცვას თავისი დუმილით და ამიტომ, ოპოზიციის წარმომადგენლებზე ისრების გადატანა, რომ თურმე ისინი აპოლიტიკურებენ პროცესს, არასწორია. აქვე აღნიშნა, რომ ალტერნატიული საბჭოს შექმნის მიზანი არის ის, რომ საბჭომ, არა შეფარვით და ფსევდო მოქმედებებით,

არამედ რეალურად იმუშაოს ქალების დასაცავად და საკრებულოს წარუდგინოს ალტერნატიული საკანონმდებლო ინიციატივები.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ნინო წულაძეს, რომ მისი გამოსვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც მნიშვნელოვნად არ შეეფერება გენდერულ თემატიკას და გენდერული საბჭოს ფუნქციონირებას, რადგან ამბობს, რომ თითქოს რაღაც კონკრეტული ფაქტის გამო დატოვა საბჭო, თუმცა, ყველას ახსოვს საკრებულოს წევრების და მათ შორის, თინათინ ნიბლოშვილის მიერ, გენდერული საბჭოს სახელით, გაკეთებული განცხადებები იმ პერიოდში, რომელზეც აპელირებს ნინო წულაძე.

ანა კაკაბაძემ მიმართა ნინო წულაძეს: „თუ აქამდე თქვენი ქცევები იყო ღიმილის მომგვრელი და სასაცილო ქმედებები, დღეს უკვე სამარცხვინოა. სამარცხვინოა ითხოვდეთ ალტერნატიული გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას თქვენ კონკრეტულად და თქვენი პარტიის წარმომადგენელი. პარტიის, რომელიც ცდილობთ, რომ მოირგოთ ნიშა, თითქოსდა ქალთა უფლებებზე მუშაობთ, თითქოს ცდილობთ, რომ ქალები გააძლიეროთ და თქვენ კონკრეტულად, ამ ისტორიულ დარბაზში იჯექით და ჩემს გვერდით კოლეგას შეურაცხყოფას აყენებდით, აქილიკებდით, დასცინოდით, აი, ამ დარბაზში, მერე მოტრიალდით და მეორე დღეს განცხადება გააკეთეთ იმის შესახებ, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო ვერ მუშაობს. საბჭო, რომელზეც თქვენ არც კი ესწრებოდით, არც იცით რა გააკეთა საბჭომ, არც იცით რაზე მუშაობს ჩვენი საბჭო იმიტომ, რომ თქვენ იმდენი პატივი არ დასდეთ თბილისის მოსახლეობას, რომ მოსულიყავით და ჩვენთან ერთად განგეხილათ საბჭოზე ის საკითხები, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ახალგაზრდებისთვის, ჩვენი ქალებისთვის, მოწყვლადი ჯგუფებისთვის. არც აქამდე არ მოდიოდით და არ ერთვებოდით საბჭოს მუშაობაში და საბჭო აქამდეც დაცლილი იყო პოლიტიკისგან და დამერწმუნეთ, შემდეგაც დაცლილი იქნება პოლიტიკისგან და თქვენ იქნებით თუ არ იქნებით, გააგრძელებს მუშაობას. უბრალოდ, ეს სამარცხვინო, ორპირი ნიღაბი მოიხსენით და საკუთარ თავთან მაინც რომ დარჩებით, ნუ იფიქრებთ იმაზე, თითქოს რამე გაგიკეთებიათ თბილისელი ქალებისთვის, ნუ იფიქრებთ, რომ რაიმე გაგიკეთებიათ საქართველოში არსებული ქალებისთვის, როდესაც თქვენ თქვენს კოლეგას შეურაცხყოფა მიაყენეთ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა და წინდახედულობა თქვენ მოგეთხოვებათ, როდესაც რაიმე განცხადებას აკეთებთ.“

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-121 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

3. „ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ. N01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (ს/კ. N01.19.20.020.083) არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

4. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში არსებული 19.65 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1056) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

5. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N143-ის მიმდებარედ არსებული 75.31 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.182.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N10-ში მდებარე 107.97 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

7. „ქალაქ თბილისში,სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N11-ში არსებული 96.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.501) და 11.40 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 2388 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.099) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში არსებული 2020 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.416.001) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7-ში (სკდსტრო კოდი: N01.19.22.007.052.01.506) არსებული უძრვი ქონების პირდპირი გნკრგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.041) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისში, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, სახლი N2-ში, კორპუს N3-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002, N01.16.09.001.003 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 87.43 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, რთველაძის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.025.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში არსებული 28.91 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქ.თბილისში, მშრალი ხიდის მიმდებარედ არსებული 3136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.004.010)78 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კენკოსთვის" (ს/ნ. 400325359) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ეი ჯი პი სი 2022"-ისთვის (ს/ნ. 405578307) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხისშეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქ.თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.216) პირდაპირი განკარგვის წესით მურმანი ღონღაძისთვის (პ/ნ. 57001003366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 92.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N221 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N222 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს" (ს/ნ.: 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ლიტ ჯეო ინვესტის" (ს/ნ. 243859749) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს" (ს/ნ. 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ. N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის" (ს/ნ. 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფითალის" (ს/ნ. 405447903) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „იმობილიარეს" (ს/ნ. 400324056) შორის 2022 წლის 27 ივლისს გაფორმებული „ქ.თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „იმობილიარეს" (ს/ნ. 400324056) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს" (ს/ნ. 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-168-11-6569 ოქმით

(ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-446-15-23098 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის N26392 და N26393 საკუთრების მოწმობებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

27. „ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.163) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ. 01009004220) შორის 2017 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე---46-21692 ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „ფუძნარისთვის" (ს/კ. 405586780), მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა N72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.337, ფართობი - 1000.00 კვ.მ.) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „არეა ენთერფრაისისთვის" (ს/კ. 437978903), მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, შერმადინის ქუჩა N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.442) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.300.001, ფართობი - 7321 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „მანუსთვის" (ს/კ. 406060220), მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. N16 მიმდ; ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.039.031, ფართობი - 1551 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ზაგაშვილი

32. „მისამართზე - ქ.თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ. N01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ.თბილისი, შარტავას

ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს „ინსის" (ს/ნ. 206278516) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

33. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

34. „ქ.თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.740; N81.02.21.739; N81.02.21.738) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.274; N81.02.00.105; N81.02.11.439; N81.02.11.449; N81.02.11.477; N81.02.11.520; N81.02.11.583; N81.02.11.613; N81.02.11.689; N81.02.11.757; N81.02.11.984; N81.02.11.985; N81.02.36.011; N81.02.36.033; N81.02.36.039; N81.02.93.248; N81.02.36.040; N81.02.93.249; N81.02.36.049; N81.02.36.050; N81.02.36.052; N81.02.36.059; N81.02.36.077; N81.02.93.045; N01.81.02.317.001-ის ნაწილი; N81.02.36.036; N81.02.36.033) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.13.38.501) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტისდამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაიროს ქ. N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. N01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N203 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8

დეკემბრის N386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

40. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.244; N01.72.14.008.245; N01.72.14.008.295) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N143 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

41. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.06.608; N81.02.06.613; N81.02.06.614) „თაუნ ჰაუსები“-ს და სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

42. „ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N4ა; ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/089); ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N1; ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.019.144, N01.11.12.019.155, N01.11.12.019.160, N01.11.12.019.816, N01.11.12.019.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ქართველიშვილის ქუჩა N4; ქალაქ თბილისში, ზემო ალექსეევკას დასახლებაში, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.003.383) სასაწყობე შენობების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N376 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ჩუღურეთის რაიონში, ანზორ ერქომაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ფოლკლორისტ ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-121 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამაში, კერძოდ, მომსახურების მიმწოდებლების თხოვნის საფუძველზე, შემფასებლისთვის ერთეული ღირებულების ანაზღაურება 8 ლარის ნაცვლად, იქნება 9 ლარი, რაც გამოწვეულია იმით, რომ შემფასებლების არეალი გაშლილია რაიონებზე და საჭიროების მქონე პირებთან დაყოვნების შემთხვევაში, ვეღარ სარგებლობენ არსებული სატრანსპორტო შეღავათით.

საბა ბუაძე დაინტერესდა, თანხის დაანგარიშება მოხდა რაიმე ფორმულის საფუძველზე თუ მიმწოდებლებმა მოითხოვეს თანხის გაზრდა კონკრეტული ოდენობით.

ნინო ლომინაძემ განმარტა, რომ მომსახურების მიმწოდებლებმა მოითხოვეს თანხის გაზრდა კონკრეტული ოდენობით, რადგან ჩათვალეს, რომ ამ თანხით შეძლებენ შემფასებლების დაფინანსებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში, სადაც, დამატებით პირობებში, მითითებული იყო, რომ მიმწოდებელს უნდა ჰყავდეს ქცევის ანალისტოკსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული სულ მცირე ერთი ქცევის ანალიტიკოსი, რომელსაც გავლილი აქვს ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ აკრედიტირებული CBA დონის საერთაშორისო კურსები. წარმოდგენილი ცვლილებით აღნიშნულ კურსებს ემატება IBA და QBA საერთაშორისო კონკურსების გავლა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისში, მასივი III-ში (ნაკვ. 20/025), (ს/კ. N01.19.20.020.080) და ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში (ს/კ. N01.19.20.020.083) არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართების გადაცემა მეოთხე კატეგორიის ავარიული

შენობების მესაკუთრეებისთვის, რომლებიც, ძირითადად, ვეღარ სარგებლობენ საკუთარი საცხოვრებელი ფართებით და გამგეობას გაყვანილი ჰყავს ქირით. პროექტი ითვალისწინებს 1825 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის გადაცემას ოცდათხუთმეტი ოჯახისთვის, ხოლო სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტი მიიღებს ავარიულ კორპუსებში განთავსებულ, მათ საკუთრებაში არსებულ, 2150 კვ.მ. საცხოვრებელ ფართს, ავტოფარეხს, სხვენს და მსგავს ფართებს. ქონება, რომელიც პრივატიზებით გადაეცემათ ხსენებულ ოჯახებს მდებარეობს „არქი ვარკეთილის" დეველოფმენთში, რომელიც, მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით, განვითარდა სწორედ ამ მიზნობრიობით. პროექტით, ასევე, წარმოდგენილია ამ პირებისთვის საცხოვრებელი ფართების რემონტისთვის თანხის გადაცემა, კერძოდ, 1კვ.მ.-ზე 286 ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში არსებული 19.65 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007.01.1056) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19.65 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2000-2002 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისში, ზერი გაბრიელ სალოსის გამზირი N143-ის მიმდებარედ არსებული 75.31 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.002.182.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 75.31 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N10-ში მდებარე 107.97 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.044.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს

სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 108 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისში,სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N24-28/ალექსანდრე ყაზბეგის I შესახვევი N11-ში არსებული 96.81 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.501) და 11.40 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.068.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისსაკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 108.21 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული 2388 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.06.001.099) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2388 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ეკლესიასთან მისასვლელი გზისა და რეკრეაციის მოწყობის მიზნით.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ „ჩვენ ვართ ქვეყანა, სადაც, მაგალითად, 1904-დან 1906 წლამდე გურიაში იყვნენ ადამიანები, რომლებმაც ბახვის მანიფესტი შექმნეს, სადაც დაწერეს, რომ ეკლესიას საკუთრებები ესე არ უნდა გადავცეთ, არ შეიძლება ხალხი ღარიბი იყოს და ეკლესია მდიდარი... ჩვენ ვართ იმ დარბაზში, სადაც პირველი რესპუბლიკა მოღვაწეობდა, რომელმაც კონსტიტუციაში ჩაწერა, რომ ეკლესია და სახელმწიფო მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული და მას ქონებებს არ უნდა ვჩუქნიდეთ... ახლა, ერთ წუთში, ამას რომ მხარს დაუჭერთ და მიწას რომ ლარად ვაჩუქებთ, მოდით, დავფიქრდეთ, ხომ არ ჯობია, მიწა და საკუთრებები გადავცეთ ამ ქვეყანაში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს ესე, უსასყიდლოდ, ვიდრე მივცეთ იმ „გაზულუქებულ, ჯიპიან ხალხს“, რომლებიც დღეს გვყავს, რომლებსაც ოცდახუთ მილიონს კონკორდატით გათვალისწინებული რაღაცებით ვაძლევთ, საკუთრებებს უფასოდ ვურეგისტრირებთ, სუსი უთვალთვალებს და ფულს ამაში ვხარჯავთ და რეებს ამჟღავნებს, თქვენ ჩემზე კარგად იცით. ჯამში, ვიღაც „ჯიპიან, გამდიდრებულ საპატრიარქოს“, ვითომ იმიტომ, რომ სარწმუნოებას ვეხმარებით, ვევაჭრებით და ამას აკეთებთ პოლიტიკოსები“. ცოტნე კობერიძის თქმით, საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა თავის თავში იციან, რომ რაღაც არასწორს აკეთებენ, მაგრამ, ასეთი მოცემულობაა და განაცხადა: „მოვა თაობა, რომელიც

მყარად იტყვის, რომ ვიღაც ყაჩაღებს, რომლებიც ფულს გვპარავენ და გვძარცვავენ, არ ვაჩუქებთ ხალხის საკუთრებას“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში არსებული 2020 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.416.001) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ. 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ეკლესიის დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7-ში (სკდსტრო კოდი: N01.19.22.007.052.01.506) არსებული უძრვი ქონების პირდპირი გნკრგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 46.52 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034.01.041) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 70 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2001 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, ზურაბ იარაჯულის I ჩიხი N20-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.008) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 15.37 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173, სახლი N2-ში, კორპუს N3-სა და კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.09.001.002, N01.16.09.001.003 და N01.16.09.001.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 328.85 კვ.მ. ფართის გადაცემა ექვსი ოჯახისთვის, რომლებიც 1983-2007 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში არსებული 87.43 კვ.მ. უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 87.43 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პრივატიზების საფუძველი არის ის დოკუმენტები, რომლებიც გააჩნია განმცხადებელს, კერძოდ, 1999 წელს, მას სახელმწიფოსთან დადებული აქვს ხელშეკრულება აღნიშნული ფართის იჯარის საფუძველზე გამოსყიდვის უფლებაზე, გადახდილი აქვს ქონების რეგისტრაციისთვის საჭირო თანხა, რაც დასტურდება მტკიცებულებებით და იქიდან გამომდინარე, რომ დღეს ეს ფართი მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია, ქონების განმასხვისებელი მხარე არის მუნიციპალიტეტი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, რთველაძის ქუჩა N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.025.001) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 133.05 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2003-13 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში არსებული 28.91 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 28.91 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2010 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქ.თბილისში, მშრალი ხიდის მიმდებარედ არსებული 3136 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.004.010)78 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კენკოსთვის" (ს/ნ. 400325359) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2027 წლის 10 თებერვლამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 23400 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქ.თბილისში, ფხოვის ქუჩაზე არსებული 3134 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.030) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ეი ჯი პი სი 2022"-ისთვის (ს/ნ. 405578307) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის

საკითხისშეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2025 წლის 25 ნოემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქ.თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ის მიმდებარედ 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.004.216) პირდაპირი განკარგვის წესით მურმანი ღონღაძისთვის (პ/ნ. 57001003366) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 6660 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 92.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.030) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N221 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხის ფარგლებში, კ2 კოეფიციენტის გაზრდის გამო, მაკომპენსირებელი ღონისძიებების ფარგლებში, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი გასხვისების თაობაზე დადგენილებით გათვალისწინებული წესით. თუმცა, რადგან სამომავლო მესაკუთრეებმა განსაზღვრულ ვადაში არ მოაწერეს ხელი აღნიშნული ფართების გადაცემას, განკარგულება ცხადდება ძალადაკარგულად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, კრისტიან სტივენის ქუჩა N23-ში მდებარე 44.80 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.72.14.040.029.01.06.014) პირდაპირი განკარგვის

ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N222 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია წინა საკითხის იდენტური პროექტი და ამ შემთხვევაშიც ძალადაკარგულად ცხადდება ფართის გასხვისების შესახებ განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ (ს/ნ.: 243859749) შორის 2021 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.07.007.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 4057 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ. 243859749) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2021 წელს, კოოპერატიული პროექტის განხორციელების მიზნით, შპს „ლიტ ჯეო ინვესტს“ და კოოპერატივის ოცდაოთხ წევრს გადაეცა დიდ დიღომში მდებარე 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების მიხედვით, ნებართვის მოპოვების ვადა იყო 2022 წლის 29 სექტემბერი, თუმცა, კომპანიამ ნებართვა აიღო 108 დღის დაგვიანებით და ასევე, 75 დღით დაარღვია კოოპერატივის წევრებისთვის გადასაცემ ბინებზე რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია. საბოლოო ჯამში, შესრულებულია ორივე ვალდებულება, რომელთა დარღვევისთვის კომპანიას დაერიცხა პირგასამტეხლო დღეში 700 ლარის ოდენობით, რამაც ჯამში შეადგინა 128000 ლარი. იქიდან გამომდინარე, რომ ამ პროექტების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მიზანია და ვადების დარღვევა გამოწვეული იყო სხვადასხვა ფაქტორებით, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ამ პროექტით კომპანია იღებს კომერციულ სარგებელს, თუმცა, ამასთანავე, აქვს სოციალური მიზანი და გაუგებარია, ასეთ პროექტებში რატომ ვდებთ პირგასამტეხლოს ვალდებულებას, სადაც ჯარიმის დაკისრებაზეა საუბარი, თუ შემდეგ უნდა ჩამოეწეროს ეს ჯარიმა და ასევე, საინტერესოა, რა ფაქტორებმა გამოიწვია კომპანიის ვადებულებების შესრულების ვადის გაგრძელება.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი, ხელშეკრულებაში, ყველა შემთხვევაში, ითვალისწინებს პასუხისმგებლობის საკითხს, რადგან კომპანიისთვის ეს არის ერთ-ერთი მოტივაცია, ხოლო მუნიციპალიტეტისთვის დასანქცირების მექანიზმი. რა თქმა უნდა, თითოეული პროექტის მიმართ გადასახედია გარემოებები, თუ რამ გამოიწვია ვადაგადაცილება, კერძოდ, ეს მოხდა კომპანიის მიერ პასუხისმგებლობის დარღვევით თუ ადმინისტრაციულ ორგანოებთან კომუნიკაციის გაჭიანურებით და სხვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნებართვის ვადაგადაცილების ერთ-ერთი მიზეზი იყო არქიტექტურის სამსახურთან გაჭიანურებული კომუნიკაცია, რადგან რამდენჯერმე დაუდგინდა ხარვეზი. ასევე, დამატებით მოთხოვნილი იქნა გეოლოგიასთან დაკავშირებული კვლევები და

გარკვეული ვადები დაერთების სქემებთან დაკავშირებით. ამასთანავე, კომპანიებს განშლის რეგისტრაციისთვის ეძლევათ საკმაოდ მოკლე ვადები - ნებართვის აღებიდან ერთი ან ორი თვე, რათა ჰქონდეს ვალდებულებების შესრულების მეტი მოტივაცია, თუმცა, რეესტრში ხშირად ხდება გარკვეული ხარვეზების დადგენა, რაც თავისთავად იწვევს ვადაგადაცილებას.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, რატომ არსებობს პირგასამტეხლო და რატომ შეიძლება ის დაეკისროს ამა თუ იმ კომპანიას და შემდეგ ეპატიოს, თუმცა, ფიქრობს, რომ პირგასამტეხლოს სრულად ჩამოწერა არ არის სწორი პრაქტიკა, მით უმეტეს, იმ პროექტში, რომელიც არ არის სრულად სოციალური და კომპანია იღებს კომერციულ სარგებელს. აღნიშნა, რომ კომპანიის პასუხისმგებლობაა ისიც, რომ გადავადდა იმ ადამიანების უფლებების გაუმჯობესება, რომლებმაც მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით უნდა მიიღონ კონკრეტული სიკეთე და აქედან გამომდინარე, პირგასამტეხლოს სრულად ჩამოწერა მიზანშეწონილად არ მიაჩნია და ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება, თუნდაც მისი გონივრულ ფარგლებამდე შემცირება, მათ შორის, იმ პრინციპით, რომელიც დადგენილია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, რათა ისე არ გამოვიდეს, რომ ვიღაცამ პროექტის შესრულება დააგვიანა „ბუნდოვანი მიზეზებით" და შემდეგ მუნიციპალიტეტმა ჩამოაწერა დაკისრებული პირგასამტეხლო.

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზები ნამდვილად არ არის ბუნდოვანი, რადგან გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ამ მიწის ნაკვეთზე ასევე, აღმოჩნდა დაურეგისტრირებელი ხაზობრივი ნაგებობები, რომლებიც მთელ თბილისში წარმოადგენს პრობლემას, რადგან არ არის იდენტიფიცირებული და აღრიცხული. შესაბამისად, გარკვეულწილად მუნიციპალიტეტს აქვს პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც მიწას განკარგავს სოციალური და კომერციული მიზნით, დაურეგისტრირებელი ხაზობრივი ნაგებობები იყოს იდენტიფიცირებული და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტისთვისაც რთული საკითხია, კომპანიის მიერ დგინდება ხოლმე კვლევის ეტაპზე.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ასეთ პროექტებშიც კი პირგასამტეხლოს პატიების საკითხი უნდა გაიყოს ორად: ნებართვის აღება და მშენებლობის პროცესი. თუ მშენებლობის პროცესში იქნება რაიმე ჩამორჩენა, არ უნდა ხდებოდეს პირგასამტეხლოს ჩამოწერა, ხოლო სანებართვო პირობების დარღვევაზე პასუხისმგებლობას მხოლოდ კომპანიას ვერ დააკისრებ, რადგან აღნიშნული ზოგადი პრობლემაა, მათ შორის, ხაზობრივი ნაგებობები, რომლებთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტს არ ფლობს ინფორმაციას, რადგან პროვაიდერს ინვენტარიზებული არ აქვს თავისი ხაზობრივი ქსელი.

ლევან ქორქოლიანმა განმარტა, რომ პირგასამტეხლო დადგენილია 0.1%-ის ოდენობით, რაც სასამართლო პრაქტიკით არის 10-ჯერ უფრო ნაკლები და ამიტომ, როდესაც ვამბობთ 128000 ლარს, უნდა ვიგულისხმოთ 12800 ლარი, რაზე მეტსაც მუნიციპალიტეტი ვერ მიიღებდა და გარდა ამისა, ამ თანხას რომ გამოითხოვ საბანკო გარანტიიდან, თუ არ არის კომპანიის აშკარა ბრალი, ის აუცილებლად მიმართავს სასამართლოს, რადგან ეს გარანტია არის განშლის უზრუნველსაყოფად და არა მთლიანი ხელშეკრულების ვალდებულების უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, პირგასამტეხლოს არ უნდა დავაკისროთ იმაზე მეტი ფუნქცია და ვალდებულება, ვიდრე გათვალისწინებულია - ზოგადად, პირგასამტეხლო არის ვალდებულების უზრუნველყოფის არა ძირითადი, არამედ დამატებითი საშუალება და მისთვის ამ ტვირთის აკიდება არასწორია. აქედან გამომდინარე, თუ კომპანიის მხრიდან აშკარა არ არის და არ დგინდება სამოქალაქო ბრალეულობა, მას უნდა ჩამოეწეროს პირგასამტეხლო, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა რა თანხაზე იქნება საუბარი, საბანკო გარანტიიდან მისი გამოთხოვა ნიშნავს იმას, რომ კომპანია, ბანკის მოთხოვნით, მუნიციპალიტეტთან შევა სასამართლო დავაში, რითიც კიდევ უფრო დაგვიანდება განშლის რეგისტრაციის პროცესი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და სს „გრინ ქეფითალს" (ს/ნ. 405447903) შორის 2021 წლის 21 სექტემბერს გაფორმებული „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში/ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.14.06.004.002 (ფართობი - 103443 კვ.მ.) (წინა საკადასტრო კოდები: (ს/კ. N01.14.06.003.058; N01.14.06.003.003; N01.14.06.003.004; N01.14.06.003.060; N01.14.06.006.127) და N01.14.06.006.131 (ფართობი - 15 720 კვ.მ.) საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული სს „გრინ ქეფითალისათვის" (ს/ნ. 405447903) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან სს „გრინ ქეფითალის" (ს/ნ. 405447903) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება 2021 წელს პრივატიზებულ ქონებას, სადაც დაგეგმილი პროექტის განმახორციელებელი არის სს „გრინ ქეფითალი". ხელშეკრულებით, ერთ-ერთ პირველ ვალდებულებად განისაზღვრა გრგ-ს დამტკიცება, რადგან ამას მოითხოვდა ის ტერიტორია, სადაც უნდა განხორციელდეს პროექტი. გრგ-ს დამტკიცების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვე, თუმცა, ის დამტკიცდა დაახლოებით 8 თვის დაგვიანებით - 2023 წლის 19 მაისს, რისთვისაც კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო, რომელიც არის 2000 ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც ჯამში შეადგენს 516000 ლარს და ყოველდღიურად იზრდება, სანამ მუნიციპალიტეტი არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. კომპანიის განმარტებით, ვადების დარღვევა გამოწვეულია ობიექტური გარემოებებით, რომელთა შორის ერთ-ერთი არის გართულებული გეოლოგია, რის გამოც არქიტექტურის სამსახურმა მოითხოვა დეტალური კვლევები და ამასთანავე, ურბანულ სამსახურთან რამდენჯერმე შედგა კომუნიკაცია კ2 კოეფიციენტის ათვისებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე, ტერიტორიაზე დამტკიცებულია გრგ და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია სს „გრინ ქეფითალის" გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე გრგ დამტკიცდა იმაზე მეტ მოცულობაზე, ვიდრე ის გათვალისწინებული იყო ინტერესთა გამოხატვის ეტაპზე, რაც იყო არა ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ კომპანიის ინტერესი და რადგან ვადაგადაცილება გამოწვეულია მისი ინტერესებიდან გამომდინარე, გაუგებარია, რატომ უნდა გათავისუფლდეს კომპანია დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ როდესაც კომპანიას გადაეცა ხსენებული ტერიტორია, ის დაყოფილი იყო ორ ნაკვეთად: 103433 კვ.მ. და 15720 კვ.მ. აქედან, ნაწილზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დიდი პარკის მოწყობა და შესაბამისად, ქალაქგეგმარებითად დადგენილია სხვა კოეფიციენტები, რასაც ვერ აითვისებს საცხოვრებელი ფართების ნაწილში, ხოლო კ2 კოეფიციენტი იყო ზონაზე ნაკლებად შეზღუდული და ინტერესთა გამოხატვაში გათვალისწინებული იყო 0.8-ით. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართი ჯამურად არის 7550 კვ.მ. რაც შეეხება მოცულობას, კომპანია მას ვერ გაზრდიდა იმაზე

მეტად, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით და ინტერესთა გამოხატვით და შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ რადგან კომპანიამ მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კ2 კოეფიციენტის სრულად ათვისების მოთხოვნით, მისი მხრიდან ეს არის არაგონივრული მოთხოვნა, რადგან ამ ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო კ2 კოეფიციენტის - 0.8-ის სრულად ათვისება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ. 400324056) შორის 2022 წლის 27 ივლისს გაფორმებული „ქ.თბილისში, გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი 13/035) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.11.05.013.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 4552 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „იმობილიარეს“ (ს/ნ. 400324056) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდისგან, კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის ფარგლებში. ამ შემთხვევაში ნებართვის ვადის დარღვევა მოხდა 13 დღით, ხოლო განშლის ვადის დარღვევა - 10 დღით, რაც გამოწვეულია გარკვეული მიზეზებით, მათ შორის, გამკაცრებული კანონმდებლობა ხელმისაწვდომობის სტანდარტების ნაწილში, რამაც, ნებართვის აღების პროცესში, კომპანიისგან მოითხოვა დამატებითი დრო და რესურსი. ვადაგადაცილების გამო დაკისრებულმა პირგასამტეხლომ ჯამში შეადგინა 34500 ლარი, რომლის პატიებაც არის წარმოდგენილი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ. 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-168-11-6569 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2013 წელს, აუქციონის წესით, გასხვისებული იქნა 6926 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც, დღეის მდგომარეობით, შპს „ანაგის“ საკუთრებაშია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა იყო, რომ მიწის ნაკვეთის განვითარება განხორციელებულიყო გრგ-ს ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას გადაწყვეტილი აქვს სასაწყობე ობიექტის მშენებლობა, რასაც, მოქმედი კანონმდებლობით, არ

ესაჭიროება გრგ-ს დამუშავება, წარმოდგენილია ხსენებული პირობის გაუქმება. აქვე განმარტა, რომ თუ კომპანია გადაწყვეტს სხვა სახის მშენებლობის განხორციელებას აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მას ექნება გრგ-ს დამუშავების ვალდებულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 8 თებერვლის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი NE-446-15-23098 ოქმითა (ადმინისტრაციული დაპირება) და 2019 წლის 28 თებერვლის N26392 და N26393 საკუთრების მოწმობებით გათვალისწინებული პირობების გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2019 წელს, აუქციონით განკარგულ, ჩუბინიძის ქუჩაზე მდებარე, 800 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული იყო შეზღუდვა, რომ პროექტი განხორციელებულიყო ჩარჩო-გეგმის ფარგლებში. იქიდან გამომდინარე, რომ გენ.გეგმით აღარ არის გათვალისწინებული ჩარჩო-გეგმის მომზადება, კომპანია ამ პირობას ვეღარ დაიცავს მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და შესაბამისად, აუცილებელია ამ პირობის გაუქმება.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ შეზღუდვის დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის გარეშე მოხსნის საკითხები რიგ შემთხვევებში წარედგინება საკრებულოს, ხოლო რიგ შემთხვევებში არა და დაინტერესდა, რატომ ხდება ასე და ზარალდება თუ არა მუნიციპალიტეტი აუქციონით გათვალიწინებული პირობის მოხსნის შემთხვევაში.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ არსებობს პირობის შესრულება და შესრულების დადასტურება ანუ კომპანია ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობას, რომლის დადასტურების უფლებამოსილება გააჩნია ქონების მართვის სააგენტოს, ხოლო აუქციონით გათვალისწინებული პირობის მოხსნისას საჭიროა საკრებულოს თანხმობა. რაც შეეხება იმას, ზარალდება თუ არა აუქციონით გათვალისწინებული პირობის გაუქმებით მუნიციპალიტეტი, აღნიშნა, რომ არ ზარალდება, რადგან, ასეთ დროს ხდება მიწის ნაკვეთის შეფასება, როგორც შეზღუდვის არსებობის, ასევე, შეზღუდვის მოხსნის გათვალისწინებით და ფასთა შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაიხდის შესაბამის თანხას, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩა N12-ში მდებარე 5538 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.163) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ფ/პ ირაკლი შარაშიძეს (პ/ნ. 01009004220) შორის 2017 წლის 09 ნოემბერს გაფორმებული „პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე---46-21692 ხელშეკრულებით"

გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი წინა საკითხის მსგავსია, თუმცა, ამ შემთხვევაში, პირობის მოხსნა იწვევს ფასთა შორის სხვაობას, რომლის გადახდაც მოუწევს კომპანიას. 2017 წელს, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე განიკარგა დაახლოებით 9700 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც აუქციონის პირობით გათვალისწინებული იყო მიწის ნაკვეთის განვითარება გრგ-ს ფარგლებში და სპორტულ-საგანმანათლებლო კომლექსის მშენებლობა. დღეის მდგომარეობით, მიწის ნაკვეთი დაყოფილია ორ საკადასტრო ერთეულად - დაახლოებით 5500 კვ.მ. და 4100 კვ.მ. მიწის ნაკვეთებად და დამტკიცებულია გრგ, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთ საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი სახლის, ხოლო მეორეზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომლექსის მშენებლობა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთ ხსენებული პირობა ვრცელდებოდა მთლიან მიწის ნაკვეთზე, მესაკუთრემ ითხოვა, რომ შეზღუდვა მოიხსნას იმ ნაწილზე, სადაც აღარ ხორციელდება სპორტულ-საგანმანათლებლო კომლექსის განვითარება. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, მიწის ნაკვეთზე პირობის მოხსნის შემთხვევაში, მისი ფასი გაიზრდება 863000 ლარით და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია 5538 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სპორტულ-საგანმანათლებლო კომლექსის მშენებლობის პირობის მოხსნა ხსენებული თანხის სანაცვლოდ, ხოლო დანარჩენ მიწის ნაკვეთზე აღნიშნული შეზღუდვა უცვლელი რჩება.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ „ეს არის კლასიკური სამარცხვინო სქემა“, რადგან მიწის ნაკვეთი განიკარგა იქ სპორტული კომპლექსის მოწყობის მიზნობრიობით, რის შემდეგაც კომპანიამ წარმოადგინა გრგ, თუმცა, ნებართვის გაცემამდე უკვე დაწყებული ჰქონდა გაყიდვები, რაც დადასტურდა, მათ შორის, საკრებულოს სხდომაზე, როდესაც ეს საკითხი განიხილებოდა და თბილისის მერის ახლო გარემოცვის წევრებისთვის გაიცა კორპუსის მშენებლობის ნებართვა. ხოლო ამის შემდეგ, როდესაც ოპოზიცია ამბობდა, რომ გრგ-ში ჩაწერილიყო სპორტული კომპლექსის შენარჩუნების ვალდებულება, რომელიც საზოგადოებისთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი, „რაღაც გაკვრით ითქვა“ ამასთან დაკავშირებით, მაგრამ, დღეს წარმოდგენილია ამ ვალდებულების მოხსნაც, რაც, მისი თქმით, არის ქონების მართვის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი „კლასიკური კორუფციის“ მაგალითი. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს - „ამ საკითხის გამოტანა რაში წერია? რა მიზანშეწონილობა აქვს ამას? ურბანული სამსახურის პოზიცია ამ ვალდებულების მოხსნაზე დამაკმაყოფილებელია?“ და განაცხადა, რომ აქ არ არსებობს სამართლებრივი ნაწილი, ამ საქმის სამართლებრივი ნაწილი არის ამ საკითხის პროკურატურაში გადაგზავნა და იმ ადამიანის პასუხისგებაში მიცემა, რომელიც ბედავს და ასეთ საკითხს წარუდგენს საკრებულოს.

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ 4157 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე რჩება სპორტულ-საგანმანათლებლო კომლექსის მშენებლობის მიზნობრიობა და ვალდებულება იხსნება ზუსტად იმ ნაწილში, სადაც გრგ-მ დაამტკიცა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეს, საკრებულოში, გრგ-სგან განსხვავებული გადაწყვეტილება არ არის წარმოდგენილი.

რევაზ სოხაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, იქიდან გამომდინარე, რომ შეზღუდვა გავრცელებული არ იყოს ორივე მიწის ნაკვეთზე, ერთ-ერთ მათგანზე იხსნება ვალდებულება ამ ტერიტორიაზე დამტკიცებული გრგ-ს მიხედვით და კომპანია იხდის საბაზრო ღირებულებით არსებულ ფასთა შორის სხვაობას ანუ ეს არ არის „უფასო გადაწყვეტილება და ვიღაცისთვის რაღაცის მოხსნა“. შესაბამისად, წარმოდგენილი საკითხი იურიდიულად სწორი, გამართლებული და სამართლიანია. მისი თქმით, საკრებულოში არაერთი ისეთი გადაწყვეტილება ყოფილა მიღებული, როდესაც გარკვეული ვალდებულება იხსნება რაღაც მიზნობრიობიდან გამომდინარე, რაშიც დაინტერესებული პირები იხდიან შესაბამის ფასს და აქედან გამომდინარე, არალოგიკურია ერთი და იმავე შინაარსის საკითხებიდან რომელიმე ამორჩიო დაინტერესებული მხარის სახელის და გვარის მიხედვით.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ მიწის ნაკვეთზე კოპრუსის მშენებლობის საკითხი საკრებულომ განიხილა გრგ-ს დამტკიცების ეტაპზე და მაშინვე განიხილა ამ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ვალდებულების მოხსნის საკითხიც. მისი თქმით, გასაგებია ის, რომ საბა ბუაძე ამის წინააღმდეგია და მაშინაც აპროტესტებდა აღნიშნულს, თუმცა, დღეს წარმოდგენილია იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიღებული იქნა გრგ-ს დამტკიცების დროს ვალდებულების მოხსნის ნაწილში.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ „ეს მართლაც ძალიან დიდი სირცხვილია", რადგან საკრებულოს უმრავლესობა შეღავათებს უკეთებს კალაძის ცოლის ძმას და ცოლის დაქალებს. აქვე აღნიშნა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი გაიყიდა ერთიანად და არა ცალ-ცალკე და აქედან გამომდინარე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის იმ კითხვით მიმართვა, რა სხვაობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მოეხსნებოდა ვალდებულება, არასწორი იყო, რადგან დაინტერესებული პირი იხდის სწორედ ამ 4000 კვ.მ.-ს შორის არსებულ ფასთა სხვაობას მაშინ, როდესაც 9000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი რომ გაიყიდოს აუქციონით ყოველგვარი ვალდებულების გარეშე, იქნება აბსოლუტურად სხვა ფასი. აქედან გამომდინარე, ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ის არგუმენტი, თითქოს მიწის ნაკვეთს ვალდებულება ეხსნება გრგ-ს შესაბამისად, არის „ტყუილი", ამით ზარალდება მუნიციპალიტეტი და ოპოზიციის წარმომადგენლები კონკრეტულ სახელებს და გვარებს სწორედ იმიტომ ახსენებენ, რომ თბილისის მერია ხალხის ქონებას განკარგავს „თავისი საახლობლოს შესაბამისად".

მარიამ კვერნაძემ განმარტა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს კითხვა დაესვა აბსოლუტურად სწორად, რადგან მას მიეწოდა ყველანაირი ინფორმაცია, თუ რა კონფიგურაციით და რამდენი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი განიკარგა აუქციონზე და ასევე, მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ამ საკადასტროს ფარგლებში არსებობს ორი მიწის ნაკვეთი, რომელთაგან ერთ-ერთს რჩება შეზღუდვა.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ თითოეული ადამიანის უფლებაა ის, თუ როგორ შეაფასებს ამ საკითხს, თუმცა, ამ შეთხვევაში რეალობა არის ასეთი: ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შეფასდა მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომლის რესურსის და პოტენციალის გამოყენება ხდება სამშენებლოდ, ხოლო რაც შეეხება მეორე მიწის ნაკვეთს, მისი შეფასება ვერ მოხდებოდა, რადგან მისი სამშენებლოდ გამოყენება არ ხდება და განაცხადა, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თქვას, რომ მისთვის საკითხი მიუღებელია გარკვეული მიზეზების გამო, იურიდულად გაუმართლებელია ან სხვა, მაგრამ კონკრეტული ადამიანების დასახელება „თითიდან გამოწოვილი მიზეზია".

საბა ბუაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „მთავარი არის, რა შედეგი დადგა - უნდა ყოფილიყო სპორტული კომპლექსი და არის კამპუსი და თქვენც არ გცეს პატივი იმ დონეზე, რომ სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, იქამდე გამოიტანეს გასაყიდად - ესაა სიმართლე".

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ ეს არის კომპანიის რისკი და არასწორია თუ ასე იყო, თუმცა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასების და სამართლებრივ ნაწილში აბსოლუტურად გამართულია კითხვაც და პროექტიც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „ფუძნარისთვის" (ს/კ. 405586780), მისამართზე - ქალაქი თბილისი, ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა N72-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.337, ფართობი - 1000.00 კვ.მ.) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ შპს „ფუძნარი", ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქუჩა N72-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.1-დან 2.6-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ბიუჯეტში ჩარიცხავს 149128.91 ლარს.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ავარიული შენობების ჩანაცვლების პირველი პროექტი და განაცხადა, რომ „გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული პროგრამა, კერძოდ, ჩანაცვლების მიზნით სხვა სივრცეში, სხვა ტერიტორიაზე, კ2 კოეფიციენტის გადამეტების შესაძლებლობის მინიჭება და ზოგადად, მსგავსი პოლიტიკა რამდენიმე წელიწადში ჩვენ მიგვიყვანს კიდევ უფრო მძიმე ურბანულ პრობლემებთან და დაახლოებით 5-10 წელიწადში ჩვენ დედაქალაქში ვიხილავთ ამ პროგრამით გამოწვეულ წარმოუდგენელ, გაუსაძლის, მდგომარეობას".

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

29. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „არეა ენთერფრაისისთვის" (ს/კ. 437978903), მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, შერმადინის ქუჩა N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.036.442) მიმართებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ შპს „არეა ენთერფრაისი", სოფელ დიღომში, შერმადინის ქუჩა N27-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.5-დან 4.2-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ბიუჯეტში ჩარიცხავს 852720 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

30. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სოფელი

დიღომი, ფატმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.72.14.300.001, ფართობი - 7321 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ზაგაშვილმა და განმარტა, რომ ფატმანის ქუჩა N98-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები, განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.1-დან 2.5-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, ბიუჯეტში ჩარიცხავენ 793036.57 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „მანუსთვის" (ს/კ. 406060220), მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. N16 მიმდ; ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის I მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.039.031, ფართობი - 1551 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ზაგაშვილმა და განმარტა, რომ შპს „მანო", ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. N16 მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 4.2-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, ბიუჯეტში ჩარიცხავს 748063.24 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „მისამართზე - ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ. N01.10.13.015.114) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის და მისამართზე - ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისთვის შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" (ს/ნ. 204460957) და შპს „ინსის" (ს/ნ. 206278516) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუმთავრებელ მშენებლობაზე ფართის სახით გასაცემ ვალდებულებებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებს. კერძოდ, მუნიციპალიტეტს ჰქონდა დაფინანსებული პროექტი, რომლის მიხედვითაც 14339 კვ.მ. ფართის ფარგლებში, 122 ოჯახს უნდა მიეღო საცხოვრებელი ფართები. თუმცა, მოგვიანებით, პროკურატურამ მუნიციპალიტეტს მიაწოდა ინფორმაცია დამატებით 56 ოჯახის შესახებ, რომელთა მიმართაც გამოიკვეთა 4240.26 კვ.მ. ფართის

გადაცემის ვალდებულება და ამასთანავე, კ2 კოეფიციენტის 2.2-ის მოცულობით კომპანია „ინსისთვის“ ირიბი კომპენსაციის თაობაზე, მოცულობით 1589630.15 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032314548-03 თარიღი: 25.05.2023, N12-032314571-03 თარიღი: 25.05.2023, N12-032315638-03 თარიღი: 05.06.2023, N12-032315218-03 თარიღი: 01.06.2023, N12-032315835-03 თარიღი: 07.06.2023, N12-032315836-03 თარიღი: 07.06.2023 და N12-03231178-03 თარიღი: 27.04.2023 (განსახილველად წარმოდგენილია მხოლოდ „ე“ პოზიცია), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032315836-03 წერილით წარმოდგენილი „გ“ და N12-032315218-03 წერილით წარმოდგენილის „ბ“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქ.თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.740; N81.02.21.739; N81.02.21.738) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება თექვსმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.93.274; N81.02.00.105; N81.02.11.439; N81.02.11.449; N81.02.11.477; N81.02.11.520; N81.02.11.583; N81.02.11.613; N81.02.11.689; N81.02.11.757; N81.02.11.984; N81.02.11.985; N81.02.36.011; N81.02.36.033; N81.02.36.039; N81.02.93.248; N81.02.36.040; N81.02.93.249; N81.02.36.049; N81.02.36.050; N81.02.36.052; N81.02.36.059; N81.02.36.077; N81.02.93.045; N01.81.02.317.001-ის ნაწილი; N81.02.36.036; N81.02.36.033) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 33000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 3-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ოცდაოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N72.13.38.501) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 50000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ორმოცდაცამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.09.006.023) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტისდამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 13 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაიროს ქ.N81-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. N01.19.22.011.012) სამეურნეო და საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N203 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 9400 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია შენობათა განთავსების ცვლილება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

39. „ქალაქ თბილისში, ნადიკვარის ქუჩა N34-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.270) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის N386 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია სამი მიწის ნაკვეთის გაერთიანება და საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, ერთი, ხუთსართულიანი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

40. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.008.244; N01.72.14.008.245; N01.72.14.008.295) და მიმდებარე უფლებადაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N143 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 77000 კვ.მ. კორექტირებით

წარმოდგენილია მხოლოდ სექტორი N1-ის სამ გეგმარებით ერთეულად გამიჯვნა, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

41. „ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.06.608; N81.02.06.613; N81.02.06.614) „თაუნ ჰაუსები"-ს და სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 483000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 2-ის, საცხოვრებელი ზონა 3-ის და სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ორას ოცდაოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ხოლო საცხოვრებელ ზონა 3-ში - დაბალი ინტენსივობის, 3-4 სართულიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ აინტერესებს თბილისის მერიას გაუცია თუ არა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა ამ არეალზე. მისი თქმით, ეს კითხვა დასვა საკრებულოს ურბანული განვითარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზეც, თუმცა, პასუხი ვერ მიიღო და ამიტომ, იგივე კითხვით კიდევ ერთხელ მიმართა ოთარ ჩიტიძეს.

ოთარ ჩიტიძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ურბანული განვითარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე საუბარი იყო ასევე, გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე არის თუ არა გაცემული მსგავსი ტიპის მშენებლობის ნებართვა და განმარტა, რომ ტაბახმელაში და ოქროყანაში არის გაუნაშენიანებელი ტერიტორია, სადაც დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მსგავსი ტიპის განვითარებას დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ეს ტერიტორია იურიდიულად თუ ფორმალურად არის ტაბახმელა, თუმცა რეალურად, არის შინდისში. შესაბამისად, მას აინტერესებს, რა მგდომარეობაა ამ ტერიტორიის ირგვლივ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ დიდ ტერიტორიებზე, მათ შორის, ტაბახმელაში, ოქროყანაში და კიდევ სხვადასხვა ადგილებში არის გაცემული მსგავსი განაშენიანების ნებართვები, ხოლო თუ კითხვაში იგულისხმება წარმოდგენილი ტერიტორიის მომიჯნავე ნაკვეთები, იქ შეიძლება არ იყოს გაცემული მსგავსი მშენებლობის ნებართვები. აქვე აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული არის ძალიან დიდი მიწის ნაკვეთი, რომელიც იძლევა სხვა განვითარების შესაძლებლობას, ვიდრე შედარებით პატარა მიწის ნაკვეთი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ეს ტერიტორია ნანახი აქვს და სწორედ იმიტომ სვამს ზემოთ ხსენებულ კითხვას, რომ მსგავსი მშენებლობის ნებართვა გაცემული არ არის ამ ტერიტორიის საკმაოდ მოშორებით რადიუსშიც კი და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საკრებულო ამ ტერიტორიაზე გასცემს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვას, რაც, მისი თქმით, „ერთგვარი შესასვლელი ბილეთია ამ უბედურებაში", რადგან ჩხარტიშვილს რომ ექნება, მერე სხვებიც მოითხოვენ და ეს მიიღებს დომინოს ეფექტს. სწორედ ამიტომ არის საინტერესო, ურბანული სამსახურის პოზიცია - მომავალში აპირებს რომ შინდისში,

უკაცრიელი და დაუსახლებელი ადგილი განავითაროს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებით და ეს არის ის სტრატეგია, რომელიც მუნიციპალიტეტმა ჩხარტიშვილის გამო უნდა შეცვალოს და მიიღოს გენ.გეგმისგან აბსოლუტურად საწინააღმდეგოდ?

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიის ირგვლივ გენ.გეგმით ვრცელდება ზოგადი რეკრეაციული ზონა და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „როგორ ფიქრობთ, რატომ დაადო გენ.გეგმამ ეს ზონა?" აქვე აღნიშნა, რომ ამ არეალის ირგვლივ არსებული მიწის ნაკვეთები ძირითადად კერძო საკუთრებაშია და დაინტერესდა, რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ დანარჩენი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები მიმართავენ მუნიციპალიტეტს მშენებლობის ნებართვის თხოვნით.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ქალაქი ვითარდება და იზრდება ანუ განაშენიანება ხდება, მათ შორის, გაუნაშენიანებელი ტერიტორიების. ათწლეულების წინ, საბურთალოც და ვაკეც იყო ტრიალი მინდორი, მაგრამ, თავის დროზე, ქალაქმა განიცადა ზრდა და მოხდა სხვადასხვა უბნების განაშენიანება და მოსწონს თუ არა ვინმეს, ეს არის ურბანული პროცესი, რომელსაც არაგონივრულად ვერ შეაჩერებ. მისი თქმით, როდესაც საბა ბუაძე საუბრობს იმაზე, რომ კალაძემ საჩუქარი გაუკეთა ჩხარტიშვილს, იგივე წარმატებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კალაძემ საჩუქარი გაუკეთა ხაზარაძეს, თუმცა, ეს არავის უთქვამს. აღნიშნა, რომ ლისის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა არა მხოლოდ ზოგადი რეკრეაცია, არამედ სატყეო ზონებიც და შეიცვალა გრგ-ს დამუშავების პროცესში, რადგან გენ.გეგმის თანახმად, როდესაც ტერიტორიას ადევს ზოგადი რეკრეაცია, ეს ნიშნავს იმას, რომ მისი განვითარება უნდა მოხდეს გრგ-ს შესაბამისად და სწორედ გრგ-თი უნდა დაზუსტდეს, თუ როგორ უნდა განვითარდეს ასეთი ტერიტორიები. რაც შეეხება იმას, თუ რას იზავს მუნიციპალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების თხოვნით მიმართავენ ხსენებული ტერიტორიის ირგვლივ არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეები, განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ინდივიდუალურად. წარმოდგენილ შემთხვევში საუბარია 50 ჰა ტერიტორიაზე და ძალიან იშვიათია, რომ შეიკრას ამ მოცულობის გრგ. რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები არ საუბრობენ იმაზე, რომ გზის მოწყობის ვალდებულება, თავიდან ბოლომდე, მათ შორის, მუნიციპალურ მიწაზეც დაკისრებული აქვს ამ კომპანიას - ჯერ უნდა გაიყვანოს გზა, ააშენოს ხიდები, მოაწესრიგოს ინფრასტრუქტურა, მათ შორის, გარე განათების ჩათვლითაც კი და მხოლოდ შემდგომში დაიწყოს განაშენიანება. ასევე, არ საუბრობენ იმაზე, რომ უზარმაზარი ტერიტორიის 20% რეკრეციულ სივრცედ იქნება გამოყენებული და მხოლოდ „ჩხარტიშვილის გრგ" არის არგუმენტი, თუ რატომ არ ვარგა წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმა. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ დღეს „ლისი ვერანდა" ითვლება ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ განაშენიანების რეგულირების გეგმად, ხოლო „კრწანისი ვილა რეზიდენსი", რომელიც ასევე გაუნაშენიანებელი ტერიტორია იყო, დღეს ერთ-ერთ ყველაზე კარგ და პესტიჟულ განაშენიანებად და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, წარმოდგენილი განაშენიანებით ქალაქში შეიქმნება ზუსტად იგივენაირი პრესტიჟული, რეკრეაციული სივრცეებით და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი უბანი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისში, ევგენი ხარაძის ქუჩა N4ა; ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 19/089); ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N1; ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.11.12.019.144, N01.11.12.019.155, N01.11.12.019.160, N01.11.12.019.816, N01.11.12.019.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი

კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6200 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ერთი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 14 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

43. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 ივნისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 26000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია დადგენილი კოეფიციენტის - 3.5-ის სრულად ათვისება, რის შედეგადაც სამშენებლო მოცულობა იზრდება 1128 კვ.მ.-თი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ამ მიწაზე თუ რამის „გაფუჭება" შეიძლებოდა, ყველაფერი გაფუჭდა, მათ შორის, შეიცვალა ის თანაფარდობა, რომელიც საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში უნდა იყოს საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ ფართებს შორის. ამ ეტაპზე წარმოდგენილია ოთხი სართულის მომატება, რაც ურბანულად მიზანშეწონილობას მოკლებული გადაწყვეტილებაა, რადგან გამოყენებულია ყველანაირი რესურსი, რაც ამ მიწაზე შეიძლებოდა „ამოტუმბულიყო" და აქედან გამომდინარე, მისთვის გაუგებარია, რას იღებს ამ ყველაფრისგან მუნიციპალიტეტი.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს გლდანში, მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც ძალიან დატვირთულია ურბანულად და აქ კიდევ ოთხი სართულის დამატება მიზანშეწონილი არ არის. აქვე, განაცხადა, რომ ამ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსის არსებობას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან ვითარდება საცხოვრებელი ფუნქციით და საკრებულოს წევრებს მიმართა წინადადებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიას მოეხსნას საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის სტატუსი და მიენიჭოს საცხოვრებელი ზონის სტატუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე ქართველიშვილის ქუჩა N4; ქალაქ თბილისში, ზემო ალექსეევკას დასახლებაში, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.16.003.383) სასაწყობე შენობების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 6 აგვისტოს N376 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 34000 კვ.მ. კორექტირებით მცირედით იცვლება შენობა-ნაგებობების განთავსება და შიდა გზები, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ჩუღურეთის რაიონში, ანზორ ერქომაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ფოლკლორისტ ანზორ ერქომაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ მას მიმართეს ანტონ კათალიკოსის ქუჩის მაცხოვრებლებმა, რომლების განცხადებიდანაც ირკვევა, რომ ქუჩის რეაბილიტაციის შემდგომ, არ განხორციელებულა აბრების განახლება და დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ამ კუთხით.

ნინო ვარდოსანიძემ განმარტა, რომ აბრებს ანთავსებს კონტრაქტორი კომპანია, რომლესაც სახელდების განხორციელებიდან აქვს სამთვიანი ვადა, თუმცა, ყოველთვის ვერ იცავს ვადებს იქიდან გამომდინარე, რომ წლის განმავლობაში ვერ მზადდება იმდენი აბრა, რამდენი ქუჩის სახელდებაც არის და ამიტომ, აბრების განთავსება ხორციელდება პრიორიტეტების შერჩევის მიხედვით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 42 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი